

საპროტო ბაჭყალი

№31 (670)
 ოთხშაბათი
 28 სექტემბერი,
 2022წ.
 ფასი 1.50 ლ.



წინადაც მოწოდებთ ყველა აქტიურს
 რაზმურად და სიძულად დახვედრად



მღვივანე ბილა-ბილა,
 რაზმი ვიწრო და სიბერე,
 რაზმი იქნა მისი, სიბერე,
 იქნა სიბერე და ვიწრობა.
 ვიწრო მისი და სიბერე,
 ბილა ვიწრო სიბერე,
 რაზმი იქნა მღვივანე,
 იქნა სიბერე და ვიწრობა.
 იქნა ვიწრობა მღვივანე,
 ვიწრო (სიბერე) მისი,
 სიბერე მისი ვიწრო,
 ხედავს იქნა ვიწრობა მღვივანე.



...მღვივანე ბილა-ბილა,
 რაზმი ვიწრო და სიბერე,
 რაზმი იქნა მისი, სიბერე,
 იქნა სიბერე და ვიწრობა.



[Signature] 2018 წ.

საგოგლო - დაპინჯაული დიადი სიჭყვა

სავალდებულო საკითხავი პოლიტიკოსთათვის და არა მარტო მათთვის...

ოპოზიციას გაერთიანება უჭირს, თორემ ამ ხელისუფლებას კუდილით ქვას ასროლინებდაო - ხშირად გაგიგონიათ, ალბათ სინანულით ნათქვამი ამგვარი შეფასებები.

- ოპოზიციონერი პავლე, ოპოზიციონერი პეტრე და ოპოზიციონერი ჟუჟუნა რომ გაერთიანებულიყვნენ და ერთად შეეცადათ ამ მამაძალი ხელისუფლებისთვის, გამარჯვება გარანტირებული იყო - ეს ფრაზაც, რა თქმა უნდა, ხშირად გსმენიათ.

- უნდა გაერთიანდეთ. ყველა ერთად უნდა დაეღვინათ. ყველა ერთად უნდა ვიყოთ, სხვაანირად ამათ ვერ დაგვამარცხებთო - ეს მოწოდებაც წამდაუწყებლად ისმის პოლიტიკოსთა თუ არაპოლიტიკოსთა ბავთვებზე, მაგრამ ამათ ყველაფერი - დიდი ერთობა ვერა და ვერ შედგა.

მართალია, ხანდახან კი ახერხებენ გაერთიანებას, ხან დემოკრატიული ღირებულებების დაცვის, ხან საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მოტივით, მაგრამ ეს გაერთიანებებიც, როგორც წესი, მალევე იშლება, რადგან მათ ის ღერძი და ის ხერხემალი არა აქვთ, რომელიც არა მარტო პოლიტიკოსთა ცალკეულ ჯგუფებს, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს გააერთიანებდა და ერთად შეკრავდა.

რა შეიძლება იყოს ის ერთი, ერთადერთი, ყველასთვის საერთო, ყველას გამაერთიანებელი თემა, რომლის გარშემოც შეიძლება მთელი ერი დარაზმდეს?

დემოკრატიული ღირებულებები? არა, რადგან დემოკრატიას უჭირს, ამაო, გაუთავებელი საუბრები ისე ამოუვიდა ყელში ქართველ ხალხს, რომ ამ სიტყვებზე უკვე არ რეაგირებს, თუმცა ყოველი მეორე პარტიის სახელწოდებაში სიტყვა დემოკრატია ფიგურირებს - ვითომ მთელი საქართველო დემოკრატიის აშენების სურვილით იწვის, არადა, რაც დღემდე ავაშენეთ და რაც აქამდე შექმენით, იმას დემოკრატიასთან საერთოდ არა აქვს შეხება.

იქნებ საარჩევნო გარემოს შეცვლაა ის უმთავრესი საკითხი, რომლის გამოც მთელი საქართველო ფეხზე დადგება და სანამ ამ გარემოს არ შეცვლის, სახლში არ წავა?

არა, არც არჩევნების თემაა ის თემა, რომელიც თანაბრად აღელვებს ყველას და გულს ისე აუჩქროლებს, რომ ერთ დამახებავზე გარეთ გამოვა.

სხვა უამრავი თემის, უამრავი საკითხის, უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომლებიც, ცალკე აღებული, უადრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთო სახალხო საერთო ეროვნული გაერთიანების მიზეზად და მოტივად მაინც ვერ გამოდგება.

მაშინ რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთან საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა ტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა?

რა არის და სამშობლო.

სამშობლო - გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა.

- რომელი დგას უფრო მაღლა - სამშობლო თუ ჭეშმარიტება? - იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა - ჭეშმარიტებაო.

მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლო თავად ჭეშმარიტება და ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა.

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

უსამშობლო ადამიანი ადამიანის მაგვარი ბიოლოგიური არსებაა, ვიდაცის მიერ შეკონსერვებული რობოტია, რომელსაც ღმერთის დამლა არ აკრავს.

მთელი ქართული მწერლობა დაწვებული დასაბამიდან დღემდე ერთ საერთო მიზანს ემსახურება - აღზარდოს ქართველი ადამიანი სამშობლოს გრძობა გასაკვირველი, განუსაზღვროს, განუმარტოს და შეასწავლოს მთავარი მიზანი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა - სამშობლოს მსახურება.

დაიხ, შეიძლება ააშენო სახელმწიფო, მაგრამ თუ გონივრულად არ მოიქცევი, ამ სახელმწიფოში ადვილი შესაძლებელია სამშობლო დაგეკარგოს და მის ნაცვლად ახალი დუბაი შეგჩრჩეს ხელთ ან ახალი სინგაპური.



თვითიკვლათა ქვეყანა

მზე ამოვიდა და ჩავიდა, დილამ ვერ მოასწრო გათენება. ყველაფერი იწყება თავიდან - საქართველო დაიპყრეს ქართველებმა!.. გული ას ნაწილად დამფლეთია, ვერ ასწრებს ჭრილობა გამთელებას. აიღეს ზობი და სამტრედია, საქართველო აიღეს ქართველებმა! მტრის გასახარად და სასერიოდ, მტრის საღაღობოდ და სათრეველად, ათასგზის დაჩხილ-დასერილი, საქართველო დალევს ქართველებმა. კვლავ გადაჯეგეს და გათელეს, აქეთ რაც ველი და კორდია. ქართველები აფრთხილებენ ქართველებს: - გამაგრდით, ქართველები მოდიან! მზაკვარი ყოფილა ტყვია, ძმის ნასროლი, გულს ძმისას არა და არ ასცდება. ძალიან, ძალიან იმარჯვეს ქართველებმა - მოახერხეს საქართველოს დამარცხება. ველარ მოვესწარით გათენებას, ვერ დაცხრი, შენ, ქიშპის გრიგალო. საქართველოს იპყრობენ ქართველები, რომ მტერს დაპყრობილი მიპყვარონ. არ ძალგვიძს ერთმანეთის შეფვარება, შურით და სიძულვილით ვიკვებებით. საქართველო თვითმკვლელობა ქვეყანაა - ერთმანეთს ხოცავენ თვითმკვლელები. მზე ამოვიდა და ჩავიდა, დილამ ვერ მოასწრო გათენება. ყველაფერი იწყება თავიდან - საქართველო დაიპყრეს ქართველებმა!

1993 წელი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, დღეს ქართულ სახელმწიფოდ წოდებული სახელმწიფო ქართველებს და ქართველთა სამშობლოს, საქართველოს, ებრძვის, მის დამარცხებას და დასუსტებას ცდილობს.

რატომ ხდება ეს და რა მიზეზით, იმდენად ვრცელი და ფართოა ეს საკითხი, რომ ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ, ამაზე აქ არ შევჩერდებით, ვიტყვი მხოლოდ ერთს -

დღეს ქართველებს სამშობლო გვაქვს დასაბრუნებელი, ის სამშობლო, რომელსაც ქართული სახელმწიფოს სახელით მოქმედი მოძალადეები და ოკუპანტები თვალდახელშეუვა ვგართმევენ.

ოკუპანტებით რომ ვთქვი, მარტო რუსები არ მიგულისხმია, ევროპელებიც ვიგულისხმე და ამერიკელებიც.

რუსები თუ ტერიტორიებს სამხედრო ძალით გვართმევენ, ევროპელები და ამერიკელები ადმინისტრაციული ბერკეტებით, ინსტრუქციებით, ღირეპტივებით, ეგრეთწოდებული რეფორმებით, ფინანსური და ეკონომიკური ბერ-

კეტებით, არასამთავრობოთა ქსელით, მედიასაშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით გვიპყრობენ და გვანადგურებენ ნელ-ნელა, დაგვიმონებენ, აუჩქარებლად, ლუკმა-ლუკმა.

ეს თანამედროვე მსოფლიოში კარგად აპრობირებული ახალი ტიპის ოკუპაციაა, როცა ტანკებს, თვითმფრინავებს, ავტომატებს კალკულატორი, ინტერნეტი, პიარტექნოლოგიები ჩაენაცვლა.

ეს ოკუპაციის ახალი, მშვენიერი ფორმებია, ზედმიწევნით კარგად მოფიქრებული სამოქმედო გეგმით, მზაკვრული ხერხებით და მეთოდებით.

ეს ის მტერია, რომლის შესახებაც დიდი ილია საუკუნე-ნახევრის წინათ გვაფრთხილებდა - თოფ-იარაღით მოსული მტრისა გეშინოდეთ, ის დაგამარცხებთ და დაგმარხათო.

აკი დაგმარხეს უკვე და თუ ვყვირით საფლავიდან ვყვირით...

დიდი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რაღაც ფორმით სათანადოდ ვერ ჯდება მათ ინტერესებში, ინტერესები კი მათ უმეტესწილად საერთო აქვთ.

საქართველო თავისი აკვირებული „ენა, მამული სარწმუნოებით“ ჯერჯერობით ვერ ჯდება გლობალიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში - სამივე ეს ღირებულება, - ენა, მამული, სარწმუნოება, მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელია გლობალისტური პროცესების განვითარებისათვის.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროპამ, რუსეთმა, აშშ-მ შეთანხმებულად გაილაშქრეს დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხმდგომი საქართველოს წინააღმდეგ - განაჩენი აშშ-მ და ევროპამ გამოგვიტანა, ხოლო განაჩენის აღსრულება რუსეთმა იკისრა.

მიზეზი ერთადერთი გახლდათ - ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს აშენება განვიზრახეთ და ეს ზრახვა დასაწყისშივე მოაშთეს და მოგუდეს.

იმ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, არავის არ აძლევს ხელს ამ გზაჯვარედინის ჩამკეტო ძლიერი, თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო არსებობდეს.

დღეს რაც ხდება, ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის დემონტაჟის და მისი რეკონსტრუქციის მცდელობა.

ამიტომაც სასაცილოა, როცა ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი მოსკოვში დარბის, მეორე ვაშინგტონში, მესამე ბრიუსელში - არიქა, გვიშველეთო.

ასეთი მიუხევედრეონი და გულუბრყვილონი როგორ ხართ, თქვე დალოცვილებო, რომ ვერ ხვდებით - საქართველო ამ სამივე „წერტილიდან“ ერთდროულად „იბომბება“, იბომბება სხვადასხვა ტიპის ბომბებით - ერთიდან თუჯის ნამსხვრევები ცვივა, მეორიდან - ფოჩიანი კანფეტები, მესამიდან ნახმარი პრეზერვატივები.

ისევე წერილის დასაწყისში დასმულ კითხვას დავუბრუნდეთ - რა არის ის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი თემა, რის გარშემოც მთელი ერი შეიძლება გაერთიანდეს?

- რა არის და სამშობლო - ვთქვით...

მაშინ რატომ ხდება, რომ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხს ღირსების, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების დასაცავად, სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, დემოკრატიის გადასარჩენად მოუწოდებს, მაგრამ არ მოუწოდებს სამშობლოს გადასაჩენად?

ეს ყველაფერი გვინდა, მაგრამ სამშობლო არ გვინდა? კი მაგრამ რა ფასი აქვს ამ ყველაფერს სამშობლოს გარეშე?

ზემოთჩამოთვლილი კომპონენტები - დემოკრატია, ადამიანის უფლებები, სოციალური საკითხები, თავისუფალი სასამართლო და ა.შ. - ის სამედიცინო მასალაა, რომლითაც სახელმწიფოს შენობა შენდება, მაგრამ რა აზრი აქვს ამ შენობის მშენებლობას, თუ იქ სამშობლო არ არის?

ასეთი სახელმწიფო სახელმწიფო კი არა სუპერმარკეტია, დიდი, უზარმაზარი სუპერმარკეტია.

ჩვენი პოლიტიკოსები სუპერმარკეტის დირექტორის თანამდებობისთვის და ადმინისტრაციული სტრუქტურების კონტროლისთვის იბრძვიან და ქართველ ხალხს სთხოვენ მხარი დაუჭირონ ამ „წმინდაწმინდა“ ბრძოლაში.

ეს ეგრეთწოდებული არჩევნებაც სხვა არაფერია, თუ არა თმი სუპერმარკეტის დირექტორის, მისი მოადგილეების, სექციის გამგეების პოსტების დასაკავებლად.

– წინ, სამშობლოსათვის! – დიდი ხანია არავის არ უთქვამს ეს ფრაზა საქართველოში.

– არცერთი ნაბიჯი უკან. ჩვენს უკან სამშობლოა! – არც ეს უთქვამს ვინმეს და შეიძლება იმიტომაც, რომ არ არის ჩვენს უკან სამშობლო – ჩვენს უკან სუპერმარკეტია, სუპერმარკეტისთვის თავის გაწირვა კი ნამდვილად არ ღირს.

ამიტომ ხომ არ მოვრბოდით თავიქუდმოგლეჯილები კოდორიდან თუ ცხინვალისკენ?

კიდევ კარგი, მდევარმა დაგვინდო და გაჩერდა, თორემ მთელი საქართველო ვირბენდით, ვირბენდით სამშობლოს მთა-ბარს გადავირბენდით და ან თურქეთში ამოვყოფდით თავს, ან სომხეთში, ან აზერბაიჯანში.

ასე ხდება ხოლმე, სახელმწიფოში სამშობლოს რომ დაკარგავ.

გარბიან ქართველები საქართველოდან, მილიონნახევარია უკვე გაქცეული და ერთ ამდენსაც გაქცევაზე უჭირავს თვალი, ოღონდ გაქცევის საშუალება არ აქვთ და რა ქნან?

გარბიან ქართველები ქართული სახელმწიფოდან და სხვა მრავალ მიზეზთა შორის უამრავი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ

ამ ქართულ სახელმწიფოში ისინი თავიანთ სამშობლოს ვერ ხედავენ. სამშობლოს ვერ გრძნობენ.

ასეთ დროს კი შენი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლა დაახლოებით იგივეა, რაც სუპერმარკეტებიდან მეორე სუპერმარკეტში გადარბენა.

ვინც აქ დარჩა ვინც გაქცევა არ ისურვა, მათი დიდი ნაწილიც ისე ცხოვრობს თითქოს ემიგრაციაში იყოს, ოღონდ შიდა ემიგრაციაში – სამშობლოში ხარ და მაინც ემიგრაციაში ხარ, რადგან სამშობლოში სამშობლო წაგართვეს.

სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ბარი, მდინარე და ტყე, ველი და კორდი, მშობლიური სოფელი, საყვარელი ქუჩა და უბანი.

სამშობლო არის ის კულტურა, ის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, რაც შენმა წინაპრებმა შექმნეს, როცა შენ არ იყავი, არ იყავი მაგრამ აუცილებლად იგულისხმებოდი, რადგან რაც კეთდებოდა ყველაფერი კეთდებოდა შენთვის ანუ მომავლისთვის.

როცა სამშობლო გაქვს და როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, ვინც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალა.

ისინი კვდებიან მაშინ, როცა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტ.



ობოზიცური პარტიებს გაერთიანება უჭირთ. როგორც ვთქვით, გაერთიანების რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

მაქვს ეჭვი, რომ მიზეზი ამისა უსიყვარულობაა. მათ არ უყვართ სამშობლო ან უყვართ იმდენზე, რამდენიც მათი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად კმარა.

მათ არ უყვართ ქართველი ხალხი, უფრო ზუსტად, უყვართ ქართველი ხალხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათი მხარდამჭერია.

სამშობლოსადმი საერთო სიყვარული, ერთ მუხტად შეკრული სიყვარული არ არსებობს – ის საარჩევნო ხმებად ნაწილდება და ქუცმაცდება.

როდის დადგება ის დრო, როცა პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები ერთად შეიკრიბებიან და იტყვიან: – დღეს იმის გარჩევას დრო არ არის ვინ არის მემარცხენე, ვინ მემარჯვენე, ვინ ცენტრისტი, ვინ უფრო ნიჭიერია, ვინ უფრო რეიტინგული. მოდით, ყელამ განზე გადავდოთ ჩვენი ამბიციები და სამშობლოს სიყვარულის გარშემო გავერთიანდეთ, რადგან სამშობლოა გადასარჩენი.

თუ ეს არ ითქვა და თუ ეს არ გაკეთდა, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს.



ცხოველის „სამშობლო“ ბუნაგია. როცა ადამიანი სამშობლოს ბუნაგთან აიგივებს, სადაც შეიძლება კომფორტულად და მაძლრად იცხოვრო, ასეთი ადამიანიც ცხოველია.

საქონელიაო, თქვა გუბაზ სანიკიძემ... კი, ბატონო, საქონელი ერქვას...



მანსტანზ ხარჩილაკა
2012 წელი, მაისის თვე.

პასხანგ ხარჩილაშვილი „საერთო გაზეთში“ უნდა იცოცხლოს...



იპორ კვამლიაძე, ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: ვახტანგ ხარჩილაშვილი ბიოგრაფიას სტუდენტობიდან მოყოლებული ვიცნობ. ამ ახალგაზრდა პოეტს, მოაზროვნე ადამიანს, სიყრმიდანვე საოცრად უყვარდა თავისი სამშობლო. მას არასდროს უღალატია იმ რწმენისთვის, რითაც დაიბადა და ცხოვრობდა. მას არ ეშინოდა არც წარსულის, არც აწმყოს და არც მომავლის. ვფიქრობ, არისტოტელეს მოსაზრება მის ბუნებას სრულად ერგებოდა: ზნეობა შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით ცხოვრებააო. აი, ამ პრინციპით ცხოვრობდა, მეგობრობდა და იბრძოდა ვახტანგ ხარჩილაშვილი. საკუთარი აზროვნებიდან და სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიდგომებიდან გამომდინარე, მისი ვიზიტი პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციაში, რა დროსაც მე მრჩეველი ვახლდით. ვახტანგმა მაშინ ქართული კულტურის განვითარების საოცარი ხედვა, იდეა წარმოადგინა. კარგად მახსოვს მისი გულიანობა, ტკივილი, როცა ამ პროექტს ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა. ვახტანგი ქართული ცნობიერების, ტრადიციების დაცვისთვის იბრძოდა ყოველთვის, სამაგალითო მეუღლე და მამა იყო. მას შეეძლო მიმტვევებლობა, პატიება და შენდობა, რათა კონკრეტულ ადამიანში სინდისი გაეღვიძებინა. საუბარში ვახტანგი არასდროს ივიწყებდა, რომ ზოგჯერ ოპონენტს უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო, რადგან იგი გაითვლებს, მუდმივად ფიზიკურად იყო, ყურადღებით დაუკვირდებოდა ცხოვრებას და ტკიბობამ, ნებივრობამ არ გაეიტაცოს. ვახტანგ ხარჩილაშვილს სწამდა, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა, გარდაცვალება გარდაუვალი, სიყვარული კი — მარადიული. ასეთი იყო ხარჩილაშვილი სტუდენტობიდან და მამისა, როცა ამ ხელისუფლების მხარდამჭერი იყო. მას სწამდა, რომ ხელისუფლებას საქართველოსთვის დიდი საქმის გაკეთება შეეძლო, ამიტომ მას მუდამ, მხარში ედგა. ვახტანგი ამ თვისებითაც გამოირჩეული იყო. ის იყო კაცი, რომელმაც იცოდა, რომ სიკვდილს ებრძოდა და მინც მხედ იყო. ვფიქრობ, ხელისუფლებისგან მას მეტი მოფერება, თანაგრძობა სჭირდებოდა. ვახტანგს „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მხოლოდ ინფორმაცია როდი მიჰქონდა მოსახლეობისთვის, იგი მკითხველს თავისი წერილებით საქართველოს სიყვარულსაც ასწავლიდა. ხელისუფლებას

ვახტანგისთვის, ამ მოაზროვნე კაცისთვის, მეტად უნდა დაეგლო ყური. იგი იყო კაცი, რომელიც ვერ აზროვნებდა ასწავლიდა. იგი ჩვენს გულში დარჩება, როგორც დიდი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული პიროვნება და, რაც მთავარია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, პატრიოტი კაცი. მისი გამორჩეულობა სწორედ ვახტანგ ხარჩილაშვილია. დიას, იყო ვახტანგ ხარჩილაშვილი, ეს არ არის ადგილი. ხელისუფლებას ვურჩევ: მეტად დააფასოს მისი ღვაწლი ქვეყნის წინაშე. „საერთო გაზეთში“ კიდევ უფრო შემართებით უნდა გააგრძელოს ვახტანგის დაწვეული საქმე და ბოლომდე მიიყვანოს. ვახტანგმა „საერთო გაზეთში“ უნდა იცოცხლოს. დიას, ვახტანგ ხარჩილაშვილი ქართულ საზოგადოებას, საქართველოს არ უნდა დააკლდეს. თორემ, ხელისუფლებას ასეთი ვახტანგები და ხარჩილაშვილები თუ დააკლდა, მაშინ იგი ვერასდროს მიაწვდენს ხმას იგი ვერასდროს მიიღებს შინაურ თუ გარეულ მტრებს საკუთარ ქვეყანაში, ვეროპასა თუ სხვაგან. ახლა, ჩემი მეგობრის შესახებ თქვენ გესაუბრებით და ეს ძალიან ჰგავს თავად მასთან საუბარს, რაც უკვე ძალიან მენატრება. ვიცი, რომ იგი უზომოდ ენატრება და დააკლდა მის ოჯახს, კოლეკტივს. ნეტავ, ვახტანგი ხელისუფლებისთვისაც ასე მოსანატრებელი იყო. თუ ხელისუფლება გააცნობიერებს, რა საკმის იყო ვახტანგ ხარჩილაშვილი შეჭიდებული, მაშინ შეიძლება წინ სვლა დაეწყოს ისე, როგორც ეს ვახტანგ ხარჩილაშვილს უნდოდა. ვახტანგ ხარჩილაშვილი უნდა იყოს, დროებითი განზომილებიდან იმიერ საუფლოში გადავიდა. იგი იქაც არის და აქაც დარჩა, როგორც მამულიშვილი, პიროვნება, მოღვაწე, მეგობარი და კაცი. დიას, ძნელია იყო ვახტანგ ხარჩილაშვილი. ის გარდაიცვალა, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოში დარჩა.

ლიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი: ვახტანგ ხარჩილაშვილი წარსულში ლაპარაკი ძალიან ძნელია. მე საკმაოდ ხშირად ვახლდით არამხოლოდ „საერთო გაზეთის“, არამედ პირადად ბატონი ვახტანგის სტუმარი. ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებზე, პირისპირ არაერთგზის გვისაუბრია. იგი იყო თხემით ტერფამდე საქართველოზე შეყვარებული ჭეშმარიტი ქართველი, დიდი პოეტი და შესანიშნავი პუბლიცისტი. „მწერალი საზოგადოების წინა-

შე, ყოველ აქტუალურ საკითხთან მიმართებით, განგაშის ზარებს უნდა არისხებდეს“, — ამ ანდერძს ბატონი ვახტანგი პირნათლად ასრულებდა. იგი მუდამ ეროვნული იდეის სადარჯოზე იდგა. ის ვახლდათ ზედმოკრატული, ეროვნული, წესიერი, პატიოსანი და რაც მთავარია, საკუთარი პრინციპების ერთგული ადამიანი. როცა კომუნისტური ეპოქა ეროვნულმა მოძრაობამ ჩაანაცვლა და ქართულმა საზოგადოებამ ეროვნული ძალების მოსვლა იხიმა, იმ დღიდან მოყოლებული, ბატონი ვახტანგს საკუთარი პრინციპებისთვის არასდროს უღალატია. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს: როცა საქართველოს თავზე ცა მოიქოფრა და სააკაშვილის სისხლიანი, ფაშისტური რეჟიმი საკუთარ საზოგადოებას დაუპირისპირდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა ბატონი ვახტანგ ხარჩილაშვილი ღირსება და კაცობა, რომელმაც შემოხსენებული რეჟიმი „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან დაუნდობლად ამხილა. იგი ძალიან დაინტერესო პუბლიცისტის ავტორი ვახლდათ. რაც მთავარია, უნდა ითქვას შემდეგ: „საერთო გაზეთი“, ამავე დროს, სარკმელი იყო ბევრი ისეთი პოლიტიკოსისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის, ვისთვისაც დიდი ნაწილი პრესის ფურცლები მიუწვდომელი იყო. ბატონი ვახტანგი მოაზროვნე რესპონდენტებს ეძებდა. მათთვის „საერთო გაზეთი“ ერთგვარი სავიზიტო ბარათი იყო. საზოგადოებისთვის კი იყო სიახლე, რასაც სხვა საგანზე სტატიებსა თუ ელექტრონულ მედიაში ვერ ამოიკითხავდნენ. ვახტანგ ხარჩილაშვილი ყველაზე საჭირო დროს დაგვაკლდა. ახლა ეპოქალური ცვლილების დროა. მე დიდად ვახტანგს ამ საკითხზე არაერთხელ გვისაუბრია. ის ძალიან გულშემატკივრობდა ქვეყანაში კონსერვატიული გზის ფორმირებას და საკმაოდ კრიტიკულად უმხერდა ყველაფერს, რაც ფსევდო-კონსერვატიული, ფსევდო-პატრიოტული იყო. იგი ვახლდათ სამართლიანად კრიტიკული და, ამავე დროს, ობიექტური. ბატონი ვახტანგი ბრძოლი, დინჯი და რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი იყო. მასზე წარსულ დროში საუბარი მართლა ძალიან მიჭირს. იგი ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება, როგორც ძლიერი დამრიგებელი და უადრესად მაღალი ეროვნული პრინციპების მატარებელი, საქართველოს ჭეშმარიტი მოქალაქე.

მლიჩხბარ ჯამალიძე, მწერალი, აკადემიკოსი: ჩემს ახალგაზრდობაში, სტუდენტობის პერიოდში ყველაზე ფასეული ფაქტორები ურნალისტიკა ვახლდათ. სამწუხაროდ, დღეს, რიგმა ურნალისტებმა სახელი ძალიან გაიტყნეს. რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, „საერთო გაზეთი“ გამორჩეული იყო. მაგრამ ტელე-ეკრანებზე და ზოგიერთ სხვა გაზეთებში რაც ხდება, ეს კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ფონზე, „საერთო გაზეთი“, მისი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილაშვილი ძალიან გამორჩეული იყო. ვახტანგის ცხოვრება დაღმწეილი არ ყოფილა. იგი მრ-



ვალ ჭირნახული კაცი ვახლდათ. „საერთო გაზეთი“ ეროვნული იყო, რომელსაც ეს დიდი მამულიშვილი უძღვებოდა. ეროვნული შემართების საფუძველს სიმართლის ქადაგება წარმოადგენს. ვახტანგ ხარჩილაშვილი განთი სწორედ სიმართლეს ქადაგებდა და ამიტომაც, არამარტო ჩემს, არამედ ძალიან ბევრი ჭეშმარიტი ქართველის ადფროვანებას იწვევდა. ვახტანგის სიყვარული სამშობლოსადმი, პატრიოტიზმი, ეროვნული ყველაში უდიდეს ადფროვანებას იწვევდა. უზომოდ დამწვებელი გული მისმა უცარმა გარდაცვალებამ. ამ ნაუცბათემა სენმა დიდი ქართველი, ძვირფასი ადამიანი, ეროვნული მოღვაწე, ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტი ხელიდან გამოგაცალა. მისი სიკვდილი, ჩემთვის, აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ მეორე მხრივ, ასევე, დიდი წუხილია ის თუ რა ეშველება აწი „საერთო გაზეთის“, რომელიც ბევრისთვის სულიერი საზრდო იყო. ღმერთმა ჰქნას ვახტანგის ისეთი კაცი მოველინოს სათავეში, რომელიც დირსეულად ურედაქტორებს და ვახტანგის გზას გააგრძელებს. „საერთო გაზეთში“, აუცილებლად, უნდა იცოცხლოს და მისი დაწვეული საქმე დირსეულად გააგრძელოს. ეს საზრდო სჭირდება როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლებას.

ბაღდათი არაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე: ქართულმა საზოგადოებამ, კულტურამ, მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, შესანიშნავი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ხარჩილაშვილი. იგი თანამედროვე მწერლობის, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ვახლდათ. მისი შემოქმედება, ლექსები, ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილები ყოველთვის სიახლის, ნოვატივის, ჯანსაღი აზრის დამკვიდრებას ემსახურებოდა და, ერთგვარად, ქართული ლიტერატურის დონეს და გემოვნებას განსაზღვრავდა. ჩვენ წლების მანძილზე ურნალ „ცისკარში“ ერთად ვმუშაობდით. იგი ჯერ „ცისკარის“ ლიტერატურული მუშაკი, ხოლო მოგვიანებით, ახალგაზრდული ურნალის „ნობათის“ რედაქტორი იყო. ვახტანგ ხარჩილაშვილი ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდა ავტორების წარმოჩენას, მათთვის ხელის შეწყობას, მათ პროფესიულ დაოსტატებას. შემდეგ

მან მუშაობა გამოცემლობა „მერანსა“ და ურნალ „კრიტიკაში“ გააგრძელა. ხოლო ბოლო წლებში იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა — ვახლდათ დამარსებული და რედაქტორი გაზეთების „მართალი გაზეთი“ და „საერთო გაზეთი“, სადაც მან თავი დაგვამახსოვრა, როგორც ქვეყნის დიდმა გულშემატკივარმა და სიმართლის, ზნეობის, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გულმხურვალე დამცველმა. ვახტანგ ხარჩილაშვილი თავისი შესანიშნავი წერილებით, ლექსებით ებრძოდა საქართველოს შინაურ თუ გარეულ მტრებს, აგენტებს, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ეროვნული ცნობიერების, ღირებულებების, ტრადიციების, რელიგიის წინააღმდეგ ფარულად და დაიდ ბოროტებას ნერგავდნენ და დღესაც ნერგავენ. წავიდა ჩვენგან ღირსეული პოეტი, საზოგადო მოღვაწე და დავეითოვა შესანიშნავი შემოქმედება, რომელიც ჭეშმარიტი

ლიტერატურის მოყვარულებს, მის მეგობრებს ყოველთვის ემსახურებათ.


სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი: მთელი ჩემი ახალგაზრდობა, საშუალო ასაკი, პრესასთან ურთიერთობაში გავიდა. საკმაოდ ბევრ რედაქტორს, ურნალისტს ვიცნობდი, მაგრამ ინტელექტუალური სიმპათია, სიახლოვე რამდენიმე მათგანთან შემომჩნა. ვახტანგი ერთ-ერთი უკანასკნელი მოპიკანი ვახლდათ. იგი ყოველმხრივ განათლებული, ბრწყინვალე ურნალისტი იყო. მწველად მახსენდება ვახტანგი, რომელიც ახერხებდა აქტუალური პრობლემის მთელი სიმწვავეით დანახვას, გაშლას და მკითხველამდე მიტანას. გარდა ამისა, ჩვენს დროში, როდესაც პრაქტიკულად, გაზეთების დიდი უმეტესობა სხვადასხვა მიზეზით დაიხურა, ვახტანგმა თითქმის შეუძლებელი შეძლო — ჯერ ერთი, ურნალისტების ბირთვი შეინარჩუნა. მეორეც, თავისი პირადი ავტო-



რიტეტი, ყოველგვარი პირადული ფინანსური სარგებლის, დანტერესების გარეშე სამშობლოს უანგაროდ ემსახურა. ეს იყო ადამიანი, რომელიც „საერთო გაზეთით“ ცხოვრობდა. სწორედ გაზეთი იყო მისი სახლიც, ოჯახიც, მეგობარიც და ცხოვრების მიზანიც. მთავარი ის გახლავთ, რომ მან მკითხველთა წრე შეინარჩუნა. რამდენი გაზეთი არსებობდა 90-იან წლებში, ბუმი იყო, გახსოვთ, როგორი პოპულარული იყო „მანისი“ და სხვები, მაგრამ ეს გაზეთები ყველა გაქრა. „საერთო გაზეთმა“, ვახტანგის წყალობით, სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა და ეს მომავალშიც ასე უნდა გაგრძელდეს. თანხის მოძიება შეიძლება ბევრმა რედაქტორმა მოახერხოს, მაგრამ მკითხველის შენარჩუნება ასევე უფრო ძნელია. სპონსორს იშოვი, მაგრამ მკითხველს — ვერა. ქართველი მკითხველი ძალიან პრეტენზიულია — თუ არ მოეწონა, არაფერს გეტყვის, უბრალოდ, შენს გაზეთს აღარ წაიკითხავს. ეს არის მისი ვერდიქტი. ვახტანგი ამ ყველაფერს ახერხებდა. იგი რედაქტორობისთვის იყო დაბადებული. 90-იან წლებში, ჟურნალ «Огонек»-ის რედაქტორი მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. ეს ტიტული საქართველოში რომ ყოფილიყო, ეჭვი არ მეპარება, ვახტანგი ამ საპატიო წოდების ერთ-ერთი რეალური პრედენდენტი იქნებოდა. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ოჯახისთვის. ვახტანგის შვილს მე ვასწავლიდი. სტუდენტს მაშინვე ეტყობა, თუ რა ოჯახშია გაზრდილი. ვახტანგის გარდაცვალება ყველასთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ, პირველი რიგში, ქართული მედიის, ჟურნალისტიკისთვის. დემეტრე ნათელაძე ამყოფოს ბატონი ვახტანგის სული. რაც მთავარია, მის მემკვიდრეებს, როგორც ლიტერატურაში, ისე ჟურნალისტიკაში, ვუსურვებ, ეს მძიმე ტვირთი ისეთივე წარმატებით ატარონ, როგორც ამას ვახტანგი აკეთებდა — მხნედ, შეუპოვრად, ყოველგვარი სიძნელეების წინაშე დაუჩინებლად. იმედი მაქვს, მე „საერთო გაზეთის“ ერთ-ერთ ერთგულ რესპონდენტად დავრჩები. ყოველთვის თქვენს გვერდით მივუდგები, თუნდაც ვახტანგის ხსოვნის პატივსაცემად.

მზე ივერიის ამოვა
ქვეთინებს ვაზი უფლის, გარს ხენემ ხეთა ტყეა, ილიას წიწამურთან შუბლში ესროლეს ტყეა, მამულიშვილთა ხმალითა ზარი ცით ჩამოგვესმის, გურამ შარაძის სისხლი მელიქიშვილზე კენესის. ებრძვიან ივერიის გაუკვდავებულ ნათელს, რას შევესწარი: კეთილს ავსული ასამართლებს, ცხვირს ტყავში მეგელი ყმის, დარდი ვარ ვახტანგური, უნდა ვიბრავლო ახლა, ცრემლით დავილო გული. გამეფდა ჭიხმაკური, ბოროტ-მაცილი ზეობს, ამოდი, მაცხოვარის და ღვთისმშობლის მზეო! 14.09. 2022 წელი.

საქართველოში, მაგრამ ამით ჩვენ დაგვასუსტა, შეგვამცირა, დაგვაცოტავა. მოვა დრო და იქ შევხვდები ბატონ ვახტანგს და იმ დანარჩენ საქართველოს, რომელიც ასე ძალიან მენატრება.
ლუპა კურტიანიძე, მსოფლიო ჩემპიონი, ყოფილი პარლამენტარი: დიდი მადლობა ამ პატივისთვის, რადგან შესაძლებლობა მაქვს, ჩემს უძვირფასეს ადამიანს საჯაროდ დავემშვიდობო. მეამაყება, ვახტანგ ხარჩილავასთან იმეგობარი რომ მეყავა მე და სრულიად საქართველოს. ის გახლდათ უდალბატო, სამშობლოზე უზომოდ შეგვარებული ადამიანი, რომელმაც, მიუხედავად არაერთი წნეხისა და



ბევრი გამოწვევისა, უკან არ დაიხია და ქვეყანას ბოლომდე ერთგულად ემსახურა. ერთად რთული პერიოდი გამოვიარეთ. სწორედ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვსაუბრობდით ცხრაწლიანი რეჟიმის გაუსაძლის ქმედებებზე. ვახტანგ ხარჩილავა იყო ის ძალა, რომელიც დაუფარავად ბედავდა სიმართლის თქმას და დანარჩენ საქართველოს ხმას აწვდენდა. საერთო ბრძოლაში, შემახილმა შედეგამდე მიგვიყვანა. უსამართლობა, რაც სამშობლოში სუფევდა, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო. უკამყოფილება 2012 წელის ოქტომბერში უძლიერესმა ერისკაცმა მთელი საქართველო გააერთიანა. დიხს, ამ შემახილით, მართალი სიტყვის ხმამალა გაფლერებით, სამშობლო გაერთიანდა. ამ ერთობაში ბატონ ვახტანგს უდიდესი წვლილი მიუძღვის. აქვე, ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ბატონ ვახტანგს ამ ერთგულებისთვის არც გაზეთის ტირანო ვაზრდია, არც ბეჭდვის ხარისხი შეცვლილა, პირიქით, მას უფრო გაუჭირდა. მე „საერთო გაზეთის“ დიდი გულშემოტიკი ვარ, საიდანაც მთელი საქართველოსთვის სიმართლის თქმას ვახერხებდი და კვლავაც მოვახერხებ. ბატონ ვახტანგს არასდროს დაუწუწუნია: ჩემი ბრძოლა დამიფასეთო. ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც საკუთარი ბრძოლით, რესურსებით მაქსიმალური გააკეთა და სამაგიეროს არც არაფერს ელოდა და არც არაფერი მიუღია. იგი სამშობლოს ერთგულად ემსახურა. ასეთი ერთგული ადამიანები ძალიან ცოტანი არიან და სწორედ მათზე დგას დღეს საქართველო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვიტყვი: ბატონი ვახტანგი იყო ადამიანი, რომელიც ამ სიმართლეს უანგაროდ ემსახურა. იგი, თავად, სამშობლოს წინაშე ვალდებული წავიდა, მაგრამ ჩვენ, დანარჩენ საქართველოს, ბატონი ვახტანგის ვალი დაგვრჩა. ჩვენი ვალია, ვახტანგ ხარჩილავას მართალი სიტყვა, დაწვებული ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. ასე რომ, ჩვენ ეს ვალი უნდა მოვიხადოთ. მისი მებრძო-

ლი სული მუდამ უნდა მოვიხსენიოთ. ახლა გარდაცვლილ ადამიანს ხოტბას ვასხამთ, მაგრამ სჯობდა, ეს მის სიცოცხლეში გაგვეკეთებინა. ერში არის შემდეგი პრობლემა: როდესაც ადამიანი ცოცხალია და ქვეყნისთვის იფერფლება, მისგან მაგალითს არ ვიღებთ. მე და ბატონი ვახტანგი თანამებრძოლები ვიყავით. მადლობა მას ამ დაუსოგავი ბრძოლისთვის. ვახტანგ ხარჩილავას მისი ოჯახი, კოლექტივი აძლიერებდა. მინდა, თითოეულს მადლობა გითხრა და წარმატება გისურვოთ. ეს ბრძოლა ხომ ერთად გამოვიარეთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, რომ საშუალება მომეცა, ქველი მოვიხარო ვახტანგ ხარჩილავას, მისი ოჯახის, კოლექტივის წინაშე. მე თქვენს ნაწილი ვარ. ბატონო ვახტანგ, მადლობა იმ რთულ დროს გვერდში დგომისთვის, რომელიც ერთმანეთის იმედად გამოვიარეთ.

შოთა გლურჯიძე, მხატვარი: ბატონ ვახტანგს ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, იგი ოჯახის ახლობელია. ჩემი სიმამარი და ვახტანგ ხარჩილავა ძალიან დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ასე რომ, ჩემს ოჯახს მასთან ბევრი რამ აკავშირებს. ბატონი ვახტანგის გარდაცვალება სიღრმის ვერ შევატყობინეთ იმიტომ, რომ ძალიან ინერვიულებდა, იმდენად აფასებდა და უყვარდა. მე, ცალკე, ჩემი დამოკიდებულება მქონდა ბატონ ვახტანგთან, როგორც ადამიანთან, რომელიც პატრიოტი გახლდათ და მუდამ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის იბრძოდნენ. მისი რედაქტორობით გამოცემული „საერთო გაზეთი“ ერთადერთი სივრცე იყო საქართველოში, საიდანაც პატრიოტული სულისკვეთება გამოსჭვავოდა. ბევრჯერ შევხვედრებოდა და ყოველთვის მოვხიბლულვარ მისი თბილი, არაჩვეულებრივად პასუხისმგებელიანი სიყვარულით თავისი სამშობლოს მიმართ. ნამდვილად გამორჩეული კაცი იყო, როგორც პიროვნება, ისე მოქალაქე, არაჩვეულებრივი პოეტი, რედაქტორი და პუბლიცისტი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ერთ-ერთი უკანასკნელი მოპიკანი იყო. ასეთი ხალხი, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. მან გარკვეული კვალი დატოვა მის მკითხველშიც და ყოველ ჩვენგან-




დატოვა. მაშინ მთელი ახალგაზრდობა ლიტერატურული შემოქმედებით ცხოვრობდა. უნივერსიტეტის დარბაზი საესე იყო-ხოლომე. ბევრი მკითხველი, შემფასებელი, დამფასებელი იყრიდა თავს. ბატონი ვახტანგი თავის შემოქმედებაში მთელს სულს აქსოვდა. იმ წლებში, გონებაში ამოტივტივებულ ადამიანებს შორის, ვახტანგ ხარჩილავა ერთ-ერთი ღირსეული პიროვნება იყო. მისი კალამი მისსავე გულის სისუფთავეს განაპირობებდა. კალამი რომც მიეტოვებინა, სუფთა გული დარჩებოდა. კარგად მახსოვს მაშინდელი განწყობილებები, საკუთარი განცდები. სტუდენტობის წლების მერე, თავად წერა მივატოვე და კითხვაზე გადავიდი, მეცნიერებისკენ წავედი, ჩემი გატაცება ფსიქოლოგიამ გადაფარა. საერთოდ, ვთვლი, რომ ვახტანგმა ერთ-ერთი უნიკალური გაზეთი შექმნა იმ მხრივ, რომ მან აკადემიური გაზეთის გამოცემას ჩაუფარა საფუძველი. „საერთო გაზეთი“ პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთებისაა. ამ ამოცანის შესრულება კი ძალიან ძნელია, რაც ვახტანგმა შეძლო. საკმაოდ ცოტა მახსენდება ისეთი გაზეთები, რომელთაც აკადემიური სტილის შენარჩუნების სურვილით პქონდათ, მაგრამ ვახტანგის გარდა, ეს ვერცერთმა ვერ შეძლო. მოგვხსენებთ, ყვეთელი პრესა საკუთარ თავს უფრო ადვილად ინახავს. აკადემიური პრესისთვის თავის შენახვა უფრო ძნელია იმიტომ, რომ მომხმარებელი ცოტაა. აი, ამ პირობებში ახერხებდა ბატონი ვახტანგი მადლობის სურვილით შექმნას. ვახტანგ ხარჩილავა ნებისმიერ თემას აკადემიურ ფარგლებში აქცევდა. ნებისმიერი გაზეთისთვის ასეთი მასშტაბის აკადემიური მუშაობა ტვირთია. მეორე მხრივ, არსებობს დასავლური ტიპის სტანდარტები. დასავლეთშიც არსებობს ყვეთელი პრესა, მაგრამ ასევე, არის ე.წ. აკადემიური პრესა, რომელიც საზოგადოების გემოვნებას, ფიქრს, პოზიციას განსაზღვრავს. ანუ, ეს სერიოზული პრესაა. დაბეჭდილი მასალა, ფაქტობრივად, მსოფლიო მასშტაბით, მთელ რიგ დასავლურ გაზეთებში საპროგრამო დატვირთვას იძენს. სწორედ ამით არის გაზეთი ტელევიზიისგან განსხვავებული. გაზეთის ასეთი ანალიტიკური უნარი აქვს. დასავლეთში სწორედ ამას უსვამენ ხაზს. ანალიტიკა ტელევიზიაში ძნელად მიიღწევა. აი, ასეთი გაზეთი გააკეთა ვახტანგმა, რომელიც მკითხველს აწვდის სერიოზულ ანალიტიკურ ინფორმაციებს ყოველგვარი სიყვითლის გარეშე. ეს მისი, როგორც რედაქტორის, უპირველეს დამსახურებად მიიჩნება. ვახტანგი ამ ხაზს ჯიუტად დაადა და ვერავინ გადაახვევინა.



რამაზ საჩხარაიძე, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი: ბატონ ვახტანგს სტუდენტობიდან ვიცნობ. ლიტერატურულ წრეში ერთმანეთის ლექსებს ვისმენდი. პირველად სწორედ მაშინ მოვისმინე ვახტანგის ლექსი, რითაც ძალიან ვისიამოვნე. მან ჩემზე, როგორც ახალგაზრდა პოეტმა, დიდი შთაბეჭდილება

თამარ შვილიძე
555 23 28 24



ნანა კაპაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე: ამ გაცემულ ეპოქაში, ყინულის ლოდს დამსგავსებულ სამყაროში, ვახტანგ ხარჩილავა იყო თბილი სხივი, რომელიც ამ ყინულს ალღობდა. მართლაც საოცარი ადამიანი გახლდათ. დღევანდელ ქართულ რეალობაში საზოგადოების დიდი ნაწილი მტრებად იქცნენ და ერთმანეთის შეურაცხყოფით, ლანდვით, სიძულვილით არიან დაკავებულნი. ვახტანგ ხარჩი-



ლავას არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ სატელეფონო საუბრებიდან იმხელა სითბო, ადამიანობა, გულისხმიერება მოდიოდა, რომ ეს ადამიანი ჩემთვის, კავშირი იყო იმ ძველ საქართველოსთან, წარსულთან, როცა ქართველებს ერთმანეთი გვიყვარდა და პატივს ვცემდით. იგი ქართული ტრადიციების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი ადამიანი იყო. ყოველი მისი სატელეფონო ზარი იმედით, სითბოთი იყო გამსჭვალული. როგორც უდალბატონი უნდა ვყოფილიყავი, აუცილებლად, იმ გუნება-განწყობილებას ვეძებოდი, რა განწყობის და სიკეთის მატარებელიც თავად ბატონი ვახტანგი იყო. ჩემთვის, აბსოლუტურად, წარმოუდგენელია, რომ იგი აღარ არის. ძალიან გული მწყდება, რომ საქართველოს ჭეშმარიტი ქართველები ტოვებენ. ხშირად ვფიქრობ: ბატონი ვახტანგის მსგავსი ხალხი ძალიან ცოტაა და ასეთი ადამიანები რომ მიდიან, მგონია, ამით საქართველოს გამოშვივანა, გამოცარიელება ხდება. დემეტრე ნათელაძე ამყოფოს, დაუმკვიდროს სამუდამო განსასვენებელი. იმედი მაქვს, ის იქ არის, სადაც ყველაზე ღირსეული ქართველები განისვენებენ. დარწმუნებული ვარ, ის ჩვენზე უკეთეს გარემოშია, მაგრამ იგი ჩვენ აქ ძალიან დაგვაკლდა. ჩვენგან წავიდა უფრო კარგი, ძლიერ

სამშობლო, როგორც ბედისწერა



ომბრით, ნი მომცროს სიბერით და სჯადმოთობით,
გზა მიმავალი მომცროსი წარმადი:
მივინჯოს, წარმოც მივინჯოს და აქ არ ვითავსოვს...

ვახტანგ ხარკილაძე

ვაცხადით: ვახტანგ ხარკილაძის უმთავრესი უმთავრესია — სამშობლო, როგორც ბედისწერა. თუ რატომ, ამის საილუსტრაციოდ მისი ერთი შედეგის მომხილველად იკმარებს:

მონოლოგი წარსულიდან

უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც,
უკანასკნელად ჩაქრა კამკამით,
შუბზე ამაგეს და დროშასავით,
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.
ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძალი,
ნეტავ, ვინ აღებს ბჭის კარს ჭრიალით,
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თევზზე დაყრილს,
ვისი ურემი მიახრიალებს?!
ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
ღვეის ტყავით ტანს რომ მეხვია,
მტრის გუნისდვდა ალბათ მარაბდას
ხნავს, და ჩემი ძე მისი მეხრეა.
სამარადისო სხვამ დაიტოვა,
მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო,
ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი
უფლისგან ღამე სახეტილოდ.
ჩემი ფილა აქ ვინ დასცალოს,
ნორჩი ვენახ ვინ გამიხაროს,
ანდა ურემომ და უვარსკვლავომ
რით გავითენო, რით დავილაშო.
ვის ერდოზე ჰყვავს ერთგული ძალი,
ანდა ვინ აღებს ბჭის კარს ჭრიალით?!
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თევზზე დაყრილს,
ვისი ურემი მიახრიალებს?!

დახ, სამშობლო, როგორც ბედისწერა!

ვახტანგ ხარკილაძე სამეგრელოში, შეუდარებელ წაღწე-
ვიში დაბადდა 1948 წელს. მას ადგილობრივები ლაკადასაც
ეძახიან, მაგრამ ამ შეუდარებელი მხარისთვის ნიშანდობლივია
ენით აღწერილი თავმდაბლობა და, ამავდროულად, ლამის
უმაგალითო თავდადება პატრიოტული განცდებისადმი.

მისი სოფელი ობუჯი გამორჩეულია ქიანის ეკლესიით. ამ
ეკლესიის სახელს დაესხება ფსევდონიმად დიდი ლეო შენგე-
ლია. ვახტანგის სულს ბავშვობიდანვე აპოხიერებდა ბერძენ
ტარიელ გოლუას უდრეკი ბუნება, პროტოტიპად მისივე კარის
მეზობელი ლევან მესხია რომ ჰყავდა.

უნივერსიტეტში ფოლოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობ-
და. იყო ლიტერატურული გაერთიანება „პირველი სხვის“
აქტიური წევრი.

უფროსი ძმები კინემატოგრაფისტები ჰყავდა ვახტანგს და
მის შემოქმედებასაც ნალად დააჩნდა ამის ხატოვნად გადმოცე-
მისკენ მიდრეკილება.

იყო შურნალ „იცისკრის“ თანამშრომელი, გამოცემლობა
„მერანის“ რედაქტორი.

სიყვარულით დაოჯახდა. მშენებელმა ფოლოლოგმა მეუღ-
ლემ, ქალბატონმა თამარ ბერძენიშვილმა ქალ-ვაჟი შესძინა.
მასვე ტყუპი შეილიშვილები ეყოლა ვაჟისგან, ასული —
ქალიშვილისგან.

წარმატებულად გამოსცემდა იშვიათ სერიალს „შერისხულ-
ნი“; რედაქტორობდა ყოველკვირულ გაზეთს „მესამე ნაპირი“.

„მხედრონის“ მძევლარების პერიოდში, განსაკუთრებით
სამეგრელოს მრავალგზის დაწიოკების შემდეგ („მხედრონს“
ერთადერთ წალღვინაში გაუწიეს გაფთვრებული მასშტაბური
წინააღმდეგობა, ლამის ბუნაგში მომწყვდელი ჯაბა იოსელია-
ნი საკაცეთი გამოარიდეს „ბრძოლის“ ველს, ხალხის რისხვას).
ქვეყნის მომავალზე მოფიქრალმა ძალამ ვახტანგ ხარკილაძე
ერთხმად აირჩია საზოგადოება „სამეგრელოს“ თავმჯდომარედ.
საქართველოს მწერალთა კავშირში წლობით დაგროვილი
ბალასტის საპირწონედ, როცა ქართველი კალმონები ლამის

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია:

პოზა არაბული, ტარიმლ ტანტური, ელიზბარ ჯავალიძე, რეზო კვიციანიძე, ანდრეა
არაბული, გურამ პეტრიაშვილი, ანა აპოპია-ბასლანაძე, მარკო კვიციანიძე, ჯამალ ღაზალიანი,
რეზო კვიციანიძე, მარკო ტარიმლ, ვანო ჩხიკვაძე, გუსარიონ ყვითელიანი, ღაპით მაისურა-
ძე, ზაურ კალანდია, ჯუბა ლევალი, ბათუ ღანელია, მარკო შათირიანი, ვაჟა ჩორბაძე, გიორგი
თეგვაძე, მარკო სალდანი, ღაპით შოგალია, ვაჟა ხორნაბუღი, ანდრე სიფრაშვილი, თორნიკე
ალაშვილი, როსტომ მიგრიაშვილი, გური ოტოხაია, ირაკლი ვაჟაშვილი, მთვარისა ქსოვრელი, სერგი
საჯანია, ცოტნე ალაშვილი, ბადრი ცირაშვილი, მანანა აბაშიძე, თამარ ვაჟაძე, ზურაბ ქობალია,
ქეთევან დოლიძე, ლევან ბრეგვაძე, ლევა გვასალია, გიორგი ზარნაძე, ზურაბ თორია, ბადრი სპანაძე
(ინფორმაციის), ნაპო კატარიაშვილი, ზაზა მანაძე, ჯამალ კვიციანიძე.

„ლიტერატურაში წიგნების რაოდენობით არაფერი მტკიც-
დება. შეიძლება რამდენიმე ლექსში ან იქნებ, რამდენიმე სტრი-
ქონშიც კი აენთოს უჩვეულო ცეცხლი, რომელიც ალღობს მდუ-
მარების ყინულს და შთამომავალს სიცოცხლის ცისარტყევლად
გადაცემა“ — შენიშნავს ქართული ესთეტიკური აზროვნების
მეტრი, ბატონი სოსო სიგუა აწ ნეტარსწინებული ვახტანგ ხარ-
კილაძის შემოქმედების ანალიზისას ადრეულ წერილში „სიტყ-
ვა, როგორც ბედისწერა“... „ვახტანგ ხარკილაძე ისევე მიუბრუნ-
და ბუნებრივ განცდებს, — განაგრძობს იქვე, — სიცოცხლეს,
ცხოვრებას, პიროვნულ ემოციებს... ეს იყო ხელახლა გად-
მოსროლილი პაროლი — „დაბრუნება მიწასთან“. მიწისადმი
ერთგულება მსჭვალავს მის ძლიერ, თავისთავად პოეზიას. ის
დიდად არის დავალებული ტრადიციებისაგან, წინაპართა თქმუ-
ლი სიტყვისგან, რადგან მთავარია შექმნა ლექსისა, რომელიც
არის მღელვარე სულის დოკუმენტი, და არა რითმის, ალიტე-
რაციის ან ორიგინალური აზრის ძიება... ვახტანგ ხარკილაძეს
ლექსითა ლირიზმი ნიავის ფრთებით კი არ გველამუხებია, არამედ
ქარიშხალივით გვარყვავს, იგი წვდება ჩვენს სულიერ ქვესკ-
ნელს, იღუმალ ძაფებს, გვადვილებს, გვიფხიზლებს პიროვნულ
განცდებს. ახლობელს უფრო გვაყვარებს, დაშორებულს გვა-
ახლოებს, გადავიწყებულს აღგვიდგენს. სტრიქონებს მოაქვთ
ელექტრონული მუხტი, იწყებენ აგზნებას, კი არ გვაწყნარებენ,
გვაფიქრებენ, სიცოცხლის ფინით გვწვავენ, ზოგჯერ ვეღვანე
ახლობელ ადამიანსაც ისე მოგვანატრებენ და იმგვარ ფიქრებს
აღგვიძრავენ, რომლებიც იქნებ არც გავწყვიტავ... ვახტანგ ხარ-
კილაძე არაა სმენის პოეტი და არც ცდილობს ლექსის მუსიკად
ქცევას, არც საგნის არსი, მისი ინტელექტუალური განსჯა და
ანალიზი აინტერესებს. იგი ყოფიერების დრამატიზმს, სიცოცხ-
ლის ძალას გვაგრძობინებს. ამიტომაც ამტყვევებს საგნის
ემოციურ სულს, რომელიც განგამის ხმებად ეცხადება ჩვენს
ფანტაზიას. მასში თითქოს გადმოდის სამყაროს ჟრუანტელი
წვიმად, მდინარედ, ვარსკვლავებად, მიწის ღელვად წამოსუ-
ლი: მისი განსჯა, მღელვარე სულის დაღადისი, ცხოვრებაზე
დაფიქრებული კაცის სიტყვაა, რომელიც ცდილობს სიბრძნისა
და ბრძოლის სულისკვეთების შეხამებას... სტრიქონები ნაპირ-
მორღვეულ მდინარეს ჰგვანან, ვახტანგის წვიმებით, თოვ-
ლის ნადნობი წყლებით ადიდებულს, რომელიც კალაპოტს კი
არ მისდევს, არამედ სტიქიურად ჩვენს თვალწინ კვეთს ახალ
სადინარს... იგი სიმსუბუქის, „თამაშის“ წინააღმდეგობა და აინტე-
რესებს იმის გამჟღავნება, რაც წარმოშობს კონფლიქტს სულსა
და მატერიალს შორის, „მე“-სა და გარემოს შორის... ცხოვრების
ჯანსაღი და მკაცრი განსჯა გზას უხსნის მონოლოგს, მღელვარე
ფიქრებს... ფიქრობს ცხოვრების უსაზღვროებაზე, მარადიულ
ენებებსა და ტყვიანობაზე, ღალატსა და ოცნებაზე, სიყვარულსა
და სიძულვილზე, ლაპარაკობს ტრამობებზე გრძნობების ერთ.
სულში გაივლიან სინამდვილის ჭრელი ტალღები, რათა სტრი-
ქონებში, როგორც ეკრანზე, აღიბეჭდონ და ზედ შეატოვონ
პიროვნების სისხლი და ხორცი. ქვეყნად რაც კი კარგი რამ
დაწერილა, დაწერილია სისხლით, ხოლო სისხლი ეს იგივე
სულია, წინაპართა მსოფლიოს სუნთქვა, ჩვენ რომ გვაერთებს
ათასწლეულებთან. პოეტის ოცნებაა, გადარჩეს ეს ყველაფერი,
ამიტომ ჰგავს სიტყვა ნოეს კიდობანს...“

როგორც იტყვიან, უკეთესად შეუმღებელია ითქვას. ბატონი
სოსო სიგუა ერგასი წლის სიმორიდან თუნდაც კონტურების
სახით ღანდავს ვახტანგ ხარკილაძეს პიროვნებაში მონუმენ-
ტურ ფიგურას, რომელიც მიბმულია სამშობლოს სატკივრებს,
ქვეყნის აღმართ-დაღმართებს, მის სადღესო და სამომავლო
პრობლემებს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის ფენო-
მენს. ამიტომაც თავს უფლებას ვანიჭებთ, კრიტიკოსის წერილის
სათაურში ერთგვარი კორექტივი შევიტანოთ ამ უნივერსალური
პიროვნების უმთავრესი მახასიათებლის დასადგენად და თამაშად

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მახტანგ ხარჩილაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი, მარტალი მოქალაქეობრივი პოზიციით გამოჩენილი შემოქმედი, რომელიც მის რამდენიმე თანამოკალმესთან ერთად განსაზღვრავდა XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზიის დონესა და მისი განვითარების ორიენტირებს.

ვახტანგ ხარჩილაძე დაიბადა 1948 წლის 6 აპრილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვახტანგ ხარჩილაძემ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ვახტანგ ხარჩილაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იყო ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურული მუშაკი, ჟურნალ „ნობათის“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი, ალმანახ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი, „დილის გაზეთის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, „მართალი გაზეთისა“ და „საერთო გაზეთის“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. სადაც არ უნდა ემუშავა ვახტანგ ხარჩილაძეს, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით და სიკეთის ქმნის დაუოკებელი წყურვილით გამოირჩეოდა, ყველგან მშობელი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვით გვამახსოვრებდა თავს. მისი ეს თვისებები განსაკუთრებული ძალმოსილებით წარმოჩინდა „საერთო გაზეთში“ მოღვაწეობისას, სადაც ბატონი ვახტანგი მართლაც რომ მედგრად, ხმალომდებელი ებრძოდა საქართველოს მტრებს, ქართველ რენეგატებს, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის შესარყევად...

ვახტანგ ხარჩილაძეს ლიტერატურული დებიუტი 1965 წელს შედგა, როდესაც წალენჯიხის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით ეცნობოდა ისეთ კრებულებს, როგორიცაა „ალტერნატივა“, „ხმები“, „ზღურბლი“, ორტომეული, „არძაში უმოსი უბედური“. ამ კრებულებში მთელი სისასხით წარმოჩინდა ვახტანგ ხარჩილაძეს პოეტური ძალმოსილება, ქართული სიტყვის დამორჩილების საოცარი უნარი, ორიგინალობა და სულიერი სისადავე.

მისი ნაწარმოებები, რომლებმაც დაივანა არაერთ ანთოლოგიასა თუ კრებულში, ითარგმნა უცხოურ ენებზე.

ვახტანგ ხარჩილაძეს ღვაწა და რუდუნება ღირსების ორდენით აღინიშნა. მას მინიჭებული ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, აგრეთვე ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ვახტანგ ხარჩილაძე — დიდებული მწერალი, საზოგადო მოღვაწე, კიდევ ერთი მსხვერპლი კატაკლიზმებით სავსე ჩვენი ეპოქისა — ასეთად დაამახსოვრდებათ იგი მის მეგობარ ქართველ მწერლებსა და მისი ელვარე ნიჭიერების თავგანისმცემლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქვეყნის წინაშე ვალდებული

გარდაიცვალა ვახტანგ ხარჩილაძე - პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე! მთელი სიცოცხლე საკუთარი სამშობლოს ჭირ-ვარამს მოახმარა. მის მიერ დაარსებული გაზეთები, მით უმეტეს „საერთო გაზეთი“, საქართველოს მტრების წინააღმდეგ მიმართულ მახვილად იქცა.

დღეს სიმართლის სათქმელად, მწერალი, ჟურნალისტი თუ უბრალო მოკვდავი, როცა სათქმელის გამოშვებულს ეძებს, რა თქმა უნდა, იმ გულმხურვალე, ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულ რედაქტორს ეძებს, სანთლით რომ არის საძებარი!

აწ გარდაცვლილი ჩვენი მეგობარი ვახტანგ ხარჩილაძე სწორედაც გულანთებული მამულიშვილების თანამოაზრე და მათი წერილის გამზიარებელი გახლდათ!

ხშირად ამბობდა: მოსვენებულ, დაღვინებულ საქართველოში, აბა, რა რედაქტორობა დამჭირდებოდა, საკუთარი პოეზია, - ჩემი სულის მთავარი მარწყვლულებელი, გვერდზე მრჩება, სამშობლოს უჭირს და მეტი გზა-ხსნა ვეღარ მიპოვნიაო!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლისას, მაშინდელი „ახალგაზრდა მწერალთა წრის“ და ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივის“ გარშემო დარაზმულ სტუდენტ-შემოქმედთა შორის ტრიალებდა!

შემდგომ, საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის ტალღებმაც მოუწია, რამაც დიდი სიხარული და ასევე სიმწუხარე დაატეხა თავს. იგი ხომ თავისი ქვეყნისა და უმშვენიერესი კუთხის - სამეგრელოს ტკივილს მწარედ განიცდიდა!

სიცოცხლის ბოლო წუთამდე კალამი ხელიდან არ გაუვლიდა და რედაქტორის სავარძელი არ მიუტოვებია. მუდამ მზად იყო, ნიღაბი ჩამოეგლიჯა სამშობლოს მტრებისათვის. მისი „საერთო გაზეთი“ ამოღებულ სატყვეარს წარმოადგენდა მოღალატეთა სამხილებლად და ლახვარით ესობოდა თითოეულ ქვეყანამხედვარეს!

ვახტანგ ხარჩილაძემ ამ შემოდგომის პირს დაასრულა სიცოცხლე, ამსოფლიური ცხოვრება და მამულის წინაშე ვალდებული, დიდ წინაპართა გზა-ბილიკებს დაადგა. გაემართა სულიერ, ზეციურ საქართველოსკენ, სადაც სულ სხვაგვარი, უფლისმიერ განზომილებითა საცხოვრისი, ჩვენთვის - ცოცხალთათვის უცნაური, გაუგებარი, მაგრამ მისთვის - უკვე შესაცნობი სამყაროა!

რას ვიზამთ... ცხოვრება გაძლება და, როგორც დიდებული პოეტი, ჩვენი მეგობარი შოთა ჩანტლაძე იტყოდა: „უცხოა ირგვლივ რაც არი, და ახლობელი - რაც არა! გული სევდისგან სევდისგან დაცალე - ო, თუ სევდამაც გაცალა... ერთი წავა და სხვა მოვა, ერთი მოვა და სხვა წავა.“

ვწუხვართ და განვიცდით!
გზა მშვიდობისა, მეგობარო!

მეგობარ მწერალთა სახელით,
ელიზბარ ჯაველიძე, ჯემალ დავლიანიძე, სერგი საჯაია,
ზურაბ ცუცქერიძე, ზურაბ მამულაშვილი, ზურაბ ქობალია

გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი...

ეს არის ფრაგმენტი რეცენზიისა, რომელიც ზუსტად ორმოცი წლის წინ გამოვაქვეყნე ვახტანგ ხარჩილაძეს ლექსების პირველ წიგნზე „ალტერნატივა“. ამით გავაცვილებ უკანასკნელ გზაზე ადამიანს, ვისთანაც პოეზიის სიყვარული და სტუდენტობა მაკავშირებს...

რეცენზიას „გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი“ ჰქვია. დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1982 წლის მე-9 ნომერში. ამ ფრაგმენტში ვახტანგის ერთ ლექსზეა საუბარი - არაჩვეულებრივ ლექსზე.

„[...] ძნელი არ არის შეამჩნიო და გამოსახო დრამატუზმი, როცა კონტრასტულ, აშკარად ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენებთან გვაქვს საქმე, რასაც შესანიშნავად ასურებს ვახტანგ ხარჩილაძე ლექსში „ალტერნატივა“, მაგრამ შეამჩნიო და გამოსახო მთვლემარე დრამატუზმი ყოფით, იდილიურ, მხიარულ ან სულაც ოპტიმისტურ მომენტსა თუ ვითარებაში, ეს უკვე განსაკუთრებულ ხელოვნებას მოითხოვს. ასეთ დროს აზრი ყოფიერების საფუძვლებს სწვდება და გამოხატვის ფორმაც უჩვეულობის ნიშნით არის აღბეჭდილი, როგორც წესი, პარადოქსულია. ასეთია ვახტანგ ხარჩილაძეს უსათაურო ლექსი, რომელიც ამგვარი მიმართვით იწყება:

შენ ყოველივე უწყვი და იცი,
გახსნა გონებამ მომავლის ფარდა:
უკაცური და ხრიოკი სივრცე
და არაფერი ნანგრევთა გარდა.

ძნელი სათქმელია, ვინ არის ეს „შენ“, ვისაც პოეტის ეს სიტყვები მიემართება, იგი იდუმალების ბურუსით არის მოცული, მრავალმნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოა. ვიცით მხოლოდ, რომ ის „მტანჯველი სიბრძნის“ მფლობელია, იგი

„ეკლესიასტეს“ ავტორს მოგვაგონებს, იმ განსხვავებით, რომ „ამაო ამაოებათას“ დადადებას მტანჯველ დუმილს ამჯობინებს:

წლების წიაღში იელვებს წუთით
მტანჯველი სიბრძნე და გზას გინათებს,
მაგრამ შენ დუმხარ, ან როგორ უთხრა
ამ მოკისკისე ბავშვებს სიმართლე;
ამ ხუროს, დიად ტამარს რომ აგებს,
ამ მხატვარს, მხატველს ღვთაებრივ ფერით,
ბავეს, რომელიც ეკვრება ბავეს,
გოგოს, რომელიც სატრფოს სწერს წერილს,
როგორღა უნდა უთხრა: - შეჩერდი!

როგორ დაუსხა კერაზე წყალი,
როცა ზეიმობს ეს ცისქვეშეთი
და ფანას თესენ კაცი და ქალი.
დე, ნუ დააფრთხოთ არყოფნის ლანდი,
იფრინოს წერომ, სივრცეს რომ ელტვის,
ერთი დღით ადრე მოკვდები დარდით,
მაინც არავის არაფერს ეტყვი.

ვიზრდები ისევე, მრავლდება წუთი
საუკუნედ და მძიმდება ტვირთი.
მადლობელი ვარ, შენ როცა დუმდი,
შენ როცა დუმდი, მე მაშინ ვქმნიდი.
მწვანდება ჩემი მწირო მინდორი,
მადლობელი ვარ მთელი არსებით,
რომ არ გამწირე და დამიტოვე
გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი.

ეს ლექსი, სადაც მეტად ძნელად გამოსახატავი განცდა შესაშური სიზუსტითა და მხატვრული ოსტატობით არის მიტანილი მკითხველამდე, დიდი პოეზიის ყველა ნიშანს ატარებს, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ ლექსთა შორის, რომლებიც ადამიანური ღვაწლის წარმავლობა-წარუვალობის თემაზე შექმნილა...

ლევან ბრეზაძე

ხალ ახალდა!

2022 წლის 18 სექტემბერს თბილისში, მახათას მთაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დაიკრძალა ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილაძე.

საქართველო ვახტანგ

საერთო გაზეთი

№30 (669)
ოთხშაბათი
14 სექტემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ვახტანგ ხარჩილაძე — თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი კალმოსანი და სიტყვოსანი — მართლაც იყო საბანთოვნე კაცი, რადგან ბევრი იღვაწა, ბევრი იშრომა და ბევრი იბრძოლა უკეთესი, ნამდვილი, ქართული, ეროვნული საქართველოსთვის. სანამ ცოცხალი იყო და თავისი წამახული კალმით გუთნისდებურ ხნულებს ავლენდა ქართული პუბლიცისტიკის ნოყიერ ნიადაგზე, მისთვის არასოდეს მითქვამს, მაგრამ გულში კი სულ მქონდა — ვახტანგ ხარჩილაძე მე-19 საუკუნის საქართველოში რომ დაბადებულიყო, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ვანო მამბლის, გიორგი წერეთლის, პეტრე უმიკაშვილის, სტეფანე მელიქიშვილისა და „ივერიისა“ და „დროების“ სხვა ავტორთა თანამოკალმე იქნებოდა-მეთქი. კი, ნამდვილად იქნებოდა, იმიტომ, რომ ვახტანგ ხარჩილაძე თავისი პუბლიცისტობით იმართავდა სათავესავე საზოგადოების ციხეებში და მართლაც მისი უშუალო მემკვიდრის ბრძოლაში.

ერთხელაც არ შეუსვენია და მუხლი არ ჩაუხრია, მის კალამს არასოდეს დასტყობია დალა და სასოწარკვეთა. პოეზია კიდევ ცალკე ამბავია და როგორი დიდებული პოეტი ვახტანგ ხარჩილაძე, ეს კარგად უწყის მისი შემოქმედების ერთგულმა მკითხველებმა, ნამდვილი ლექსის გემოსა და ფერის მცოდნე ადამიანებმა, რომელთაგანაც ორნი — ლაშა ნადარეჟილი და პატარა ნაცვლიშვილი ავტორი, „საგვალ-დასავალის“ ამავ გვერდებზე ამბობენ თავიანთ სათქმელს მარალისობაში გადავანებულ ვახტანგ ხარჩილაძეზე. თანამედროვე საქართველოში ქართული პოეზიის პროფანატორებს, ვითომ პოეტებსა და ვითომ მწერლებს ბევრი რომ იცნობს, ხოლო ნამდვილი პოეტის ვახტანგ ხარჩილაძეს ნამდვილ პოეზიას მცირედნი იცნობენ და აფასებენ, ეს არც ვახტანგ ხარჩილაძის პრობლემაა და არც ნამდვილი პოეზიის, ეს თანამედროვე საქართველოს პრობლემაა, სადაც ჭეშმარიტი ფასეულობები კუთხეში არიან მიჩურთულნი, მათ ადგილას კი კვანძოვანულობები ეფლყვლაობენ და სახიფათო ინტერვენციას ახდენენ ერის სულსა და გონებაში. ვახტანგ ხარჩილაძე თავისი მართალი სიტყვითა და კალმით სწორედ იმისათვის იღვწოდა და იბრძოდა, რომ

საქართველო გაუკუღმართებული ფასეულობების ტყვედ არ ქმნილიყო, საქართველოში საქართველო გადარჩენილიყო და ქართველში ქართველი არ დაკარგულიყო. შემთხვევითი არ არის, რომ წინამდებარე გვერდზე დასაბუთებლად მისი მდიდარი პუბლიცისტიკიდან ერთ-ერთი ის წერილი შევარჩიეთ, რომელშიც ვახტანგ ხარჩილაძე სწორედ იმაზე საუბრობს, თუ როგორ გადაარჩა და როგორ უნდა გადაარჩეს ქართველი ერი. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის საოცნებო და სასურველი საქართველოს ვერ მოესწრო, ვახტანგ ხარჩილაძე ამქვეყნიდან მაინც გამარჯვებული წავიდა, რადგან შეძლო, საკუთარ თავში გადაერჩინა საქართველო და ქართველი, მოახერხა ბოროტებით ფეხშიმე გარესამყაროში დარჩენილიყო კეთილ კაცად! ჰო, ვახტანგ ხარჩილაძე, უპირველეს ყოვლისა, კეთილი კაცი იყო და მისი ყველაზე დიდი ბაზარჯმებაა! მან იცხოვრა და იღვაწა ისე, რომ თავისი წასვლით საქართველოს დააკლდა! საქართველომ დაკარგა ვახტანგ ხარჩილაძე!

გაბა ხუბუა

P.S.

ოპოზიციან თუ
ყალბანდავის „სტრული“

დელოვანი მოკვდა!
გაუგარჯოს ვეფხს!

ანტირუსული ისტერია
უნიჭო სხენარით

როგორ გადაარჩა და როგორ



ხშირად ვსვამთ კითხვას: — როგორ გადაარჩა და როგორ უნდა გადაარჩეს ქართველი ერი, როდესაც ისტორიის ქარტეზილებმა პირისაგან მიწისა ალ-გავა მრავალი ერი, ჩვენზე გაცილებით მრავალრიცხოვანი, გაცილებით ძლიერი და მონოლითური? ამ კითხვაში გაოცებაც არის და გაკვირვებაც: მართლაც რამ გადაგვარჩინა? როგორ მოვედით აქამდე? ზოგიერთი იტყვიან თვალუწვდენელი სტეპები და ტრამპლები არ გვქონია, რომ გაქცევით გვეშველა თავისთვის — ერთი ხელის დადება სივრცეში ვიყავით ჩაკეტილები და გასაქანი არ გვქონდა — ან აქ უნდა მოგვეკვდიარიყავით, ან აქ უნდა გადავრჩენილიყავით. საქართველოს ზემოდან რომ დაჭურებ, ოთხივე მხრიდან ჩაკეტილ გლადიატორების არენას ჰგავს, რაც თავისთავად გიკარნახებს ერთადერთ გადაწყვეტილებას — როგორმე მტერს უნდა სძლიო!

თითქოს განგებამ სავანგებოდ შეგვირჩია ასეთი ადგილი — ოთხივე მხრიდან დაგმანული სივრცე, სადაც უკან დასანევი გზა არ არსებობს. დიდგორის ომში უპან დასახმამი ბზნ ჩაუხერგა ქართველებს დავით აღმაშენებელმა... აღმაშენებელმა იცოდა, რასაც აკეთებდა... ღმერთმაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ოთხივე მხრიდან ჩახერგილი სივრცე გვარგუნა ასპარეზად... და მაინც: — რამ გადაგვარჩინა? ვერ ვინარჩუნებდით ტერიტორიებს, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ ერთი მაინც ინარჩუნებდა მეობას, ერი ერთად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერს გააჩნდა საურდენი, რომელიც მატერიალური კი არა, სულიერი იყო და, ამ

დენად, მიუწვდომელი განადგურებისთვის.
ყველაფერი შეიძლება დაანგრიო, რას მაგარიკალია — აუღებელი ხიხაკი, მიუღებელი სიგაღელი, დუღებით შეიკრული გალავანი, მებრამ სულიარ საყრდენს ვერ დაანგრივ, რადგან სულიარი საყრდენი სულშია, სული კი ყველანისთვის თუ ხელისთვის მიუწვდომელია.

1999 წლის დასასრულიდან ჩვენი ნაცნობობა ერთობლივ საქმიანობასა და მეგობრობაში გადაიხარდა. მის ბრწყინვალე პოეზიაზე სხვები უკეთ საუბრობენ და მე სიტყვას აღარ გაგვარძელებ. პუბლიცისტიკას რაც შეეხება, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მისი ორი წიგნი — „სისხლიანი ქრონიკები“ და „ოთხი

დღე, რომელმაც შეძრა საქართველო“ — ამ ჟანრის შედევრებად შეიძლება მივიჩნიოთ. აღარაფერს ვამბობ ბოლო 25 წლის მანძილზე გამოქვეყნებულ მის ასეულობით წერილზე, რომლებიც მომავალი საქართველოს ობიექტური მეისტორიისთვის უზუსტესი გზამკვლევი იქნება.

თეიმურაზ კვიციანი

ხალ ახალდა!

სარჩილავა დაპარება!

ჰოდა, „მიასვენებენ პოეტის სხეულს“

ჰოდა, ეს ვახტანგ ხარჩილავას ერთი აქამდე ჩვეულებრივი, რიგითი სევდიანი ლექსის სათაურია. მისი პირველი ტომის 230-ე გვერდზეა დაბეჭდილი.

ჰოდა, თუმცა ჩვეულებრივ პირიქით ხდება ხოლმე, თავისი შემოქმედებითი ცხოვრება მასთან ხარჩილავამ პოეზიით დაიწყო და ჟურნალისტიკით დაამთავრა. ორივეს უსუსტად ერთნაირი გუნებით ემსახურა. უსუსტად! ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ 2008 წელს გამოცემული ორტომეულის ორივე წიგნი უსუსტად 544-544 გვერდს შეიცავს. პირველ ტომში ლექსებია, მეორეში — ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილები.

ჰოდა, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ „საერთო გაზეთში“, რომლის მეორე გვერდზე, როგორც წესი, გაზეთის რედაქტორის მასთან ხარჩილავას მწვავე, ხშირად საკამათო პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა, 14 სექტემბერს რედაქტორის ლექსია დაბეჭდილი, ძველი, 1997 წელს დაწერილი პუბლიცისტური ლექსი, მანრამ ლემსი!

ჰოდა, 2022 წლის 14 სექტემბერის ნომერი ვახტანგ ხარჩილავას უკანასკნელი ნომერი აღმოჩნდა. მეორე დღეს მისი გარდაცვალების ამბავი გავრცელდა. ასე რომ, პოეზიით დაწვებული გზა ფორმალურად მაინც პოეზიითვე დასრულდა.

ჰოდა, ვახტანგ ხარჩილავა — ჩვენი დროის ერთ-ერთი აქტიური პუბლიცისტი და რედაქტორი — სინამდვილეში პოეტი იყო, ნამდვილი პოეტი, უპრეტენზიო, მაგრამ მაგარი პოეტი — სამწუხაროდ, ჯეროვნად შეუფასებელი და დაუფასებელი.

ჰოდა, მე, ბევრი ჩემი თანატოლის მსგავსად, სტუდენტობაშივე ვიყავი დაწვებული უფროსკურსელი ვახტანგ ხარჩილავას ლექსებს. მერცხე, თუ სადმე ლექსი გამოუქვეყნებია, ვცდილობდი, არაფერი გამომჩინოვდა მისი. ეს ორი დღეა, ის ორტომეული გადმოვიღე თაროდან და მის მშვენიერ ლექსებს ვკითხულობ და ვკითხულობ და ვკითხულობ.

ჰოდა, პირველი ტომის 230-ე გვერდზე დაბეჭდილი მიხევე იმ ერთგვარად წინასწარმეტყველური ლექსით უნდა გამოვეთხოვო, რომლის სათაურიც ზემოთ უკვე ვახსენე:

„მიასვენებენ პოეტის ცხედარს, წუდება და წუდება ფოთოლს ფოთოლი. ზამთრისპირია. ქარების სევდას და წვიმის სევდას ჰყვება ჰობოლი. კაფე „ობლებში“ იგონებს დედას ვიღაც მონუსტი, მთვრალი, ობოლი. თოვს მოწვენილად. მანათას ზედა სხედან ღრუბლები უსამშობლონი“.

ჰოდა, საოცარია — ეს მასთან მინც რამ ათქმობნა! წიგნი 2008 წელს არის გამოცემული. სად იყო მაშინ მანათაზე ან სასაფლაო და ან, მითუმეტეს — პანთეონი, რომელიც ამ წიგნის გამოსვლიდან მთელი 10 წლის შემდეგ გაიხსნება! ლექსი კი, რა თქმა უნდა, უფრო ადრეა დაწერილი: „ობლებში“ სასადილო და მანათას პანთეონი ათწლეულებით დაშორებული ორი სხვადასხვა ეპოქის ნიშანდობელია.

ჰოდა, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა მისმა საფიცარმა სამშობლომ მანათას პანთეონში დაკრძალა, უსამშობლო ღრუბლების ჩრდილში.

კაპაბა ნახვლივილი



საერთო გაზეთი

2022 წლის 14 სექტემბერი
მთელი 14 სექტემბერი
2022 წელი
ფასი 1.50 ლ.

აქამდე
კახიანი რედაქციის მთავარი რედაქტორი
ვახტანგ ხარჩილავა
2022 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა

საერთო გაზეთი
2022 წლის 14 სექტემბერი
მთელი 14 სექტემბერი
2022 წელი
ფასი 1.50 ლ.

ირანი - ჩინი

მეგობარი პოეტის ხსოვნას

შენ საქართველოს ხარ მეციხოვნე, შემეფურე ქვეყნის მიეთ-მოეთის... შენ საქართველოს ხარ მეციხოვნე, მაგრამ სასწავლო გერგო პოეტის!

შენ სიკვდილითაც ლელოს გაიტან, სამშობლოს მტერი ვერ ავიხრებ, — შენ დღეს ცხოვრებას იწვევთ თავიდან, ბრძოლაში ისევ გული იხვე!

ჩვენ ვიბადებით ღმერთის უფლებით, რომ სიყვარულში მოვკვდეთ ბოლონი... გახედე, ვახტანგ, „მანათას ზედა სხედან ღრუბლები უსამშობლონი!“

ლაშა ნადარეივილი

უნდა გადაარჩიოს ქართველი

ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან, თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არამარტო განსაკრებულ ეროვნულ-პოლიტიკურ მიზნებს განხორციელებას, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას რელიგიური რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით, — ეს კონცეფცია, რომელიც 1991 წელს გაუღერდა, არ განსაკლებად ეროვნული კონცეფციაა, საერთო პლატფორმა, საერთო შეხედულება ქართული სახელმწიფოს მოდელზე, მის ფორმასა და შინაარსზე, მის იდეოლოგიურ საყრ-

დენსა და საძირკველზე.

• ვინ არიან მთავარი არქიტექტორები იმ სახელმწიფო შენობისა, რომელსაც დღეს ვაშენებთ? ქართველები? იქნებ ქართველები მხოლოდ შეკვეთის შემსრულებლები ვართ, სამაროქტო ნაწარები კი სხვებს ეკუთვნის და ისინი გვკარანახობენ, როგორ ამოვიყვანოთ კედლები, რა მიზანბატონზე, სად ჩავსვავთ ფანჯარა, სად ჩავატანოთ კარი? უცხოელი „პარაბების“ დიდი ფუს-ფუსი და ფაციფუცია ქართული სახელმწიფოს სამშენებლო პოლიგონზე, მათი მითითებები და დირექტივები მის წამდაუქუჭმ.

აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგაო, — ვთქვით ზემოთ. ჩახერგილი გზები გაიხსნა და ქარ-

თველები თავქუდმოკლეილი გარბიან საკუთარი სამშობლოდან, ანუ ბრძოლის ველიდან.

საქართველოდან ქართველთა დიდი გაქცევის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ქართველები გუშინით გრძობენ, რომ ეს არ არის მათი სახელმწიფო, ეს არ არის ქართველების სახელმწიფო, ხოლო როცა ამას ხედები, მოვალეობის და პასუხისმგებლობის ტვირთი გენსება მხრებიდან და გაქცევა გადავდივართ.

გაქცეულთა უკან დასაბრუნებელი გზაც ეკლესიაზე გადის და მდლით გასხვივსებული ის გზაც, რომელმაც მომავლისკენ უნდა წავიყვანოს... წარსული გვასწავლის, აწმყო კი გვცდის... მსწავლებელი, ცოდნის მომცემი წარსულია, აწმყო — მკაცრი გამომცდელი. ჩვენ დღეს ნაკლებად ვიხედებით უკან, არადა, უკან გახედვა ორი ნა-

ბიჯით წინ გახედვაა. ვილატებს ჰგონიათ, რომ უწარსულოდ, უფესვოდ და უნიდავოდ შეიძლება დარგონ და გაანარონ ერის ცნობიერების ახალი ხე, გაანარონ და გარშემო კი ახალი ჯიშის და ჯილაგის ქართული სახელმწიფო შემოუშენონ. შეცდომაა ეს! მსგავსი ექსპერიმენტები ვეღვან და ვეღვა დროში მარცხით მთავრდებოდა.

შორს ნუ წავალოთ — კომუნისტების სამოცდაათწლიანი ეპოქა გავიხსენოთ, რომელიც სრული კრახით დასრულდა. არ შეიძლება, სახელმწიფო რობოტების გამომშვებ სააქტროს დაემსგავსოს...

სახელმწიფოს უსულო, უნარსულო რობოტები არ ქმნიან, სახელმწიფოებს

ქმნიან მაღალი ზნეობის და სულიერების ადამიანები.

მაგრამ თუ ერთი ან სახელმწიფო თავის ფესვებს, ძირებს ჰეშმარით იღეფას არ დაუბრუნდება, წინსვლისა და, თამამად შეიძლება ითქვას, გადარჩენის არავითარი შანსი, უბრალოდ, არ არსებობს.

არ არსებობს ახალი სახელმწიფოებრივი იდეალები, რადგან „არაფერია ახალ მზისქვეშეთში“.

არ არსებობს ახალი ქართული იდეა, ახალი რედაქციითა და ვარიაციებით. ის ისევე უცვლელი და მარადიულია, როგორც მზე და როგორც ვამი!

კახიანი ხარჩილავა

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მწერალ „სხვა დროს“ სამხატვრო საბჭო მწუხარებით იუწყება გამორჩეული მამულიშვილის, მწერლისა და ეროვნული მოღვაწის, „მწერალთა ეროვნული აკადემიის“ დამფუძნებლის, „საერთო გაზეთის“ და გაზეთ „სხვა დროს“ მთავარი რედაქტორის, **ვახტანგ ხარჩილავას** გარდაცვალებას.

მან და მისმა გაზეთმა შეძლეს ეროვნული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და კონსოლი-

დაცია, მისი მიმართვა ერის ზნეობრივ სივრცეზე მოძალადე ბნელი, რეაქციული, გლობალურ-ლიბერალური ძალების წინააღმდეგ! მისი გაზეთი ერთგვარ მეხამრიდად იქცა მსოფლიო გლობალურ სივრცეში „გამოკიდული“ „ობოლი ერისთვის“.

ბატონი ვახტანგ ხარჩილავა დიდი დანაკლისა არა მხოლოდ ოჯახისთვის და ახლობლებისთვის, არამედ მთლიანად ერისთვის და სამშობლოსთვის, პოეტური სამყაროსთვის... მისი საქმე და ნაღვაწი უეჭველად უნდა გაგრძელდეს, უნდა

დადარჩეს „საერთო გაზეთი“ და შეასრულოს თავისი განსაზღვრული უკომპრომისო ეროვნული მისია.

ნათელი და მარადიული ხსოვნა იმ კაცის სახელს, რომლის სიცოცხლეც ჰაერით სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და სამშობლოს ამ ურთულეს დროში.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მწერალ „სხვა დროს“ სამხატვრო საბჭო



ბრძოლა ფლეშეზა: პასპანგ ხარჩილავას უკვდავსაყოფად

აქ ფრაგმენტის სახით წარმოდგენილ პოემაზე მუშაობას ზუსტად სამი თვის წინათ შევუდექი, და მის ჩამთავრებას ერთი ამოსუნთქვით ვაპირებდი, მაგრამ გაეგონა?! (უფალი თუ ინებებს, ეს პოემა სრული სახით წარედგინება საზოგადოებას ადრე თუ გვიან). ყველაფერს ჩემი სიყვარული მეგობრის ზეზუერი ტანჯვა გადაეხა. ჯერ იყო და ოპერაციამ თითქოს წარმატებულად ჩაიარა, მაგრამ ონკოლოგიური პრობლემა რომ დაუდასტურდა, თანაც მეოთხე სტადიის დიაგნოზით, კალამი განზე გადავდე.

დაუსრულებელ პოემაში საქართველოს ბოლო ოთხი ათწლეულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასახვა განმეზრახა, მინდოდა მეჩვენებინა ის პუბლიცისტური ბატალიები, რომელთაც ჩინებული პოეტი და უკომპრომისო პოლემიკოსი ვახტანგ ხარჩილავა ჩადგომოდა სათავეში. თავისუფლების სახელით მოქოთქოთე დანაშაულებრივ ოპოზიციასთან დაუსრულებელ შეხლა-შემოხლას შევლია მისი სალიტერატურო ენერჯია.

„რუსთავი-2“-ის, ტროა-2-ად ჩემმა მხილებამ გასაოცარი მუტაცია განაცდევინა, განახევრდა, ორი ერთად გარდასახა, „პირველად“. მოკლედ, ამ უზნეობის აღვირახსნილმა საეთერო სივრცემ თანდათან ასწავლა ხალხის გამოთავყვანების გაცილებით დახვეწილი მეთოდები. მათთან „საერთო გაზეთის“ შედარებით მცირეტირაჟიანი ფურცლებიდან ხელჩართული უთანასწორო ბრძოლა ამ 9 წლის განმავლობაში არ ყოფილა იოლი, თუმცა ნათქვამია: მართალი კაცი ქვაზე მაგარიად და ეს არგუმენტი აუღებელ ფლემად დაეწათლა ჩემს მძობილს.

ვახტანგ ხარჩილავას უკვე საცხოვრებელი ფართიც არ ჰქონდა. დაქირავებულ რედაქციაში ათენ-აღამებდა. აქვე გამართავდა ხოლმე გაზეთის კაბადონებს, რომელიც ქართული პოლიტიკური ბრძოლის ეპიცენტრად იქცა, რამდენიმე პერიოდულ გამოცემასთან ერთად („საქართველოს რესპუბლიკა“, „საჯალ-დასაჯალი“), უფრო მართებული იქნება ითქვას, ფლემებად. აი, როგორც ბოროდინოსთან ბაგრატიონის სიმპარეებს ვერაფერი დააკლო ნაპოლეონის ჯარების დაუსრულებელმა შტურმებმა, დღე-დღამ ხელჩართულ ბრძოლაში იყო ქედუხრელი რედაქტორი და მისი ერთგული თანამოსაგრენი. ისინი მწირი ფინანსების ფონზე სასწაულებს ახდენდნენ, ოპოზიციის თოთოეულ ფარისევლურ

და ძირგამომთხრელურ გამოხდომას მცისვე აბათილებდნენ ხალხის თვალში.

მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ უკვე ოპოზიციისათვის მოდლატის იარაღის მიკერებაში თავისი ადრინდელი სუსხი დაჰკარგა. იმდენი რაკურსით იტრიალა ამ ცნებამ, რომ თანდათან გულგრილობის ფლემატურმა სენმა შეიპყრო საზოგადოების გარკვეული ფენა, მაგრამ ძირითადი ბირთვი, უმრავლესობა, ქომაგად ედგა ამ ფლემებს. ბრძოლაში შემოპარული მსტოვარი ზურგში ხანჯალს გეცემდა მალულად, ფეხქვეშ მიწას გამოგვაცლიდა, ხოლო ორგულობაში მხილებულები, სულმუდამ დაუსჯელები რჩებოდნენ: კაციმსკვლელები, ანტიადამიანური ძალადობის ჩამდენები თავიანთი მოქალაქეების წინააღმდეგ, ხაზინის ქურდები; ანტიქრისტიანული დოქტრინების მოქომაგენი, ეკლესიამონასტრების ალაყაფის კარების „კამაზებით“ ჩამომდღვლებულები, ფარული ძალის, უჩინარი ხელის მეშვეობით ეგრევე სამშვიდობოზე გამოიტყორცნებოდნენ ხოლმე.

ხელისუფლება, მთავრობა არცთუ იშვიათად კომიკურ სიტუაციაში ვარდებოდა, დაახლოებით ისეთში, როგორიც ერთ ანეგდოტშია ასახული:

- დათვი დავიჭიროე, — ეუბნება ბუკუ თავის ამხანაგს. და ისიც შორიდან: — მოიყვანე მერეო. ეს კი აქედან გაწვრილებული ხმით პასუხობს: — არ მიშვებსო.

კოჰაბიტაციის დამანგრეველმა პოლიტიკამ და, საერთოდ, „ევროპის მუშათა პარტიის“ მიკერძობულმა, მერკანტილურმა მფარველობამ თავის კავკასიურ განშტოებას — „ნაციონალურ (თითქოსდა ეროვნული, სინამდვილეში პირწავარდნილი ფაშისტური) მოძრაობას“ სამართლიანად ჩამოსხვრეული ფრთების სულ მუდამ აღდგენას, რედუქციას ცდილობდა და ცდილობს. ამ გაუგონარ პროცესებს ხმალომობილებული ებრძოდა ჩემი მძობილი რედაქტორი. მას დია კარების მტკრევა უხდებოდა მოსახლეობის წინაშე: თუ რა არის თეთრი და რა არის შავი, რა არის ბოროტი და რა არის სიკეთე, რა არის თავისუფლება და რა არის მონობა, რატომ არ შეიძლება ბატონი ბიძინა ივანიშვილის გაიგივება თავის კოლეგა ოლიგარქებთან, რომლთა უმეტესობა კაცობრიობას თვალში ნაცარს აყრის. აქეზებენ ძალადობას, პროსტიტუციას ადრეული ასაკიდან; სპობენ ფაუნას და ფლორას, სპობენ

უფლის მიერ შექმნილ დედამწას და მის ფასეულობებს.

პარადოქსია, „ევროპის მუშათა პარტია“, რომელსაც მშვიდობის დარგში ნობელის პრემია აქვს მიღებული, რუსეთის წინააღმდეგ საომრად მიათრევს საქართველოს, რათა წყლები აიძვრეს და თავის ფავორიტ „ნაცებს“ საქართველის მმართველობა ლანგრით მიართვას.

აი, რანაირ ფლემებზე იბრძოდა ჩემი მძობილი, და იბრძვის დღესაც, როცა უკვე მარადისშია გადასული, თავისი ენერგიული თანამოსაგრე ხალხით — გელა ზედელაშვილითა და ირანდა კალანდამით, თამარ შევლიძითა და ბელა გველეხიანით, მარიამ ჯანჯღავაითა და გია ბურდულით, მთვარი-სა კველიძეშვილითა და თამარ დოლიძით, ბესიკ ცარციძითა და ლევან ბოჭორიშვილით...

ვერ მოიცალა ჯანმრთელობის მისახედად. უკანასკნელ ნომერს ბინდმოდლებული თვალები მოავლო, ყველა სტრიქონს ვერ მიედევნა ადრინდელივით, სარედაქციო კოლეგამ იზრუნა საამისოდ.

„საერთო გაზეთის“ ერთპიროვნული დამფუძნებელი ჩემი მძობილი გახლდათ. ეს იყო მისი, მამულის მეციხოვნობის სულისკვეთების პერიოდიკა ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების საქართველოში.

დადუმდა თითქოს მისი კალამი, მაგრამ მის თავგანწირულ მრწამსს თუნდაც წამიერი დახანების უფლება არ აქვს. „საერთო გაზეთი“ ვახტანგ ხარჩილავას საპატიო რედაქტორობით, მისი ქვეყნისთვის თავგადადებული ლოცმანობით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ნაცადი კოლეგებისა და პერანგის მეგობრების თანადგომით: არაბულებითა და ჯაველიძეებით, ლორთქიფანიძეებითა და კვესელავებით, სუმბაძეებით და შათირიშვილებით, დავლიანიძეებითა და მამალაძეებით, გვენეტაძეებით, მკალავიშვილებითა და დევდარიანებით, ქობალიებითა და გიორხელიძეებით, რომლებით არა!

დარწმუნებული ვარ, ეს სამართლიანი ბრძოლა ფლემებზე მართალი, ნათელი, წარმატებული საქართველოსათვის არაფრით დასრულდება საყოველთაო სიმართლის დამკვიდრებამდე, როგორც ეს ერთ ლათინურ ანდაზაშია გაცხადებული: ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მათლმსაჯულება უნდა აღსდგეს!

გური ოტობაია
მწერალი

- ჩემი ძმაკაცი რედაქტორობს ყოველკვირეულს, იგი გაზეთში განათავსებს ამბებს ძირეულს, ქართულ ცხოვრებას სახადივით რომ აედევნა, და ქცეულია მონუმენტურ სიმსივნის მტევნად. წენდიხელია ძირის ძირით, მრევლი ქიაჩის, სად არ უვლია კაცს მისდღეში მონურ სილარით, ის ერთადერთი წერტილია ჩვენს პლანეტაზე, მართალს იპოვი მხოლოდ იმის გრძედ-განედანზე. იქ პურდიადი, სათნობა ყველაფრად ფასობს, იქ არ წარიკვეთს მამაკაცი არაფრით სასოს,
- იქ დედაკაცი კვარაცხელზე, სალი კლდე თამარ — დალატი არი? იგი ძმებსაც არ მისცემს სამარს. მე იქ მამიდის მეგულება კიდევ საფლავი, იქაც ბევრია ჭორ-ხარბები სულის მთაფლავი. და უფრო მეტი, რასაც გაცდა ლევან მესხია, საკუთარ ხალხის ქომაგობით ფრთა რომ შესხმია. მე ახლა თავი მოვიწონო უნდა სხვა რამით; დაიხ, მძობილით და პერანგის ტოლ-ამხანაგით, აი, იმაზე განმეზრახავს რომ ვიბალადო, როგორ გამოვლეთ წლები ბნელი და საჯალათო.
- პო, ეს ვახტანგი, ხარჩილავა მიუძღვის გაზეთს, და ვერ იხილავ მსგავს მხილებას სხვათაგან ასეთს, ის ერთდროულად ფარია და თანაც მახვილი, ის არის გაღმა საუკუნის გადაძახილი, ის თაობების აღდგომა და აღსაყდრებაა, დედაბოძია, ის მამულის გუთნისდევდა, ის ბეწვის ხიდზე განარინებს ხოლმე პირადებს, ფარულ ომშია, უჩინარში კვირით კვირამდე. ის რედაქტორობს ჩემს რომანებს და ამბავშია, ის გენიაა, მაგრამ მაინც მუდამ ბავშვია.
- ჩვენ ვატრიალებთ სტუდიაში კლასიკურ ფილმებს, ფელინია და ტარკოვსკია, რამდენი ვინმე, ჩვენ აღარ ვიცით, რაა დოზა, რაა დოზანა, ჩვენს თავზე მუდამ დაკიდულა ქრისტეს ოსანა, არის „ალჟირის“ და „ჰერეთის“ ბოთლთა ჩხარუნის და მერე მოსდევს იმ ლოთობებს კიდევ ცხრა რული, ვინ არ არიან: ნატალია, ლონდა, მიმონა, და ვატრიალებთ დაუჩნხავ ფონდის კინოსაც. აქ გროვდებიან მოარტისტო ელემენტები, მოდიან ღამით და მოდიან მუდამ კენტები,
- ახალ-ახალი გამოჩნდება ხოლმე საცოლე, აქ ჟღარუნები გაჯდომია რკინის საწოლებს, სად ინახება, არვინ უწყის, ამდენი მუხტი, საუბრობს ტატა თვალჭრელიძე და წარბი უხტის. პო, იმას უყვარს ბერგმანია თუ კუროსავა, კიდევ „კოსმოსი“, ფიქრის კვამლით შესამოსავად. ახლო ხედების რა სცენები გაივლის თვალწინ, უამრავია აქ ალერსი და კიდევ — ბრანწი. აქ მანეკენი გამოანგრევეს ხოლმე ვიტრინას და აღარ იცი, გაჩენილა ვისთვის, რითვისა.

მშვიდობით, ჩემო მგოსანო!

სტუდენტობიდან მოყოლებული, უწყვეტი იყო ჩვენი მეგობრობა.

21-ე საუკუნეში ფეხგადმოდგმულებს, ერთხელაც შენ დაბადების დღეზე თამალობამ მომიწია. ბუნებრივია, სუფრა მართლ ღვინის სმისა არ იყო, გავიხსენეთ სტუდენტობა, იმ წლების მისადაგი „ლექსთა ჯიროთი“, საერთო მეგობრები და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი არჩილ ფიცხალაძე... მაშინ მოგმართე პირველად:

„ჩემო მგოსანო“, — არჩილი ჩვენს ასაკს ვერ მოესწრო, მაგრამ შენ დაგეკისრა, მის მაგივრადაც ზილო პოეტის მძიმე ჯვარი და იგი შეგაძლებინოს -მეთქი უფალმა! სუფრა გაირინდა, ყველამ შენ გამოგხედა, ახლაც თვალწინ მიდგას შენი გაღიმებული სახე და ყურში ჩამესმის:

„ჩემად, დავით, იოსებმა (ნონეშვილი დ.ქ.) არ გაგვიგოს, თორემ გაგვიბრაზდებოდა“.

ყველა როდია -მეთქი ღირსი „მგოსნის“ სახელის, რასაც თანამესუფრეთა გულწრფელი დასტური მოჰყვა!..

ორი ათეული წელი გაილია მას შემდეგ. ჩემო მგოსანო, — მართლ მე არა, ასე მოგმართავდა „საერთო გაზეთის“ მთელი რედაქცია, უამრავი ჩვენი ნაცნობ-მეგობარი მოგმართავდა ასე, ისინი ამით უნატიფეს სიყვარულს და პატივისცემას

გამოხატავდნენ პოეტ ვახტანგ ხარჩილავასადმი, რაც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას თუ ერგება წილად, მეორედმოსვლის კარიბჭესთან მდგარ სამყაროში!

უამრავი საქვეყნო საქმის წამომწყები და მხარდამჭერი შენი პირმშო, „საერთო გაზეთი“ არასოდეს შემოფარგლულა პრობლემისადმი ერთი სტატიით ვალის მოხდით, იგი ბოლომდე მიჰყვებოდა ქვეყნის და მისი მოსახლეობის ტკივილს, ვიდრე მას განკურნავდა და ქვეყნის ციხე-გალავანზე იმედის აგურს დაადუღებდა!

ამ, მცირე გამოსათხოვრის წასამძღვარებლად არქივს გადავხედე და კომპიუტერის მეხსიერებამ 2014 წელს „ანაკლიის ბიზნეს ფორუმზე“ გადაღებული ფოტოსურათი შემომთავაზა, თან შემახსენა - უამრავი საზრუნავი დაგრჩათო კიდევ ამქვეყნად!

სასწაული თუ არ მოხდა, „საერთო გაზეთი“ და მისი, შენგან ნაწრობი გუნდი მიიყვანს ყველა, ჩვენს მიერ ერთად დაწყებულ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე!

ხვალ, 18 სექტემბერს, „მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში“ კიდევ ერთხელ შევხვდებით და გეტყვით:

მშვიდობით, ჩვენო მგოსანო!

დავით ქობალია



ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ გამორჩეული მოღვაწის, კოლეგისა და უფროსი მეგობრის, ფაზისის აკადემიის წევრის, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობ გარდაცვლილის ოჯახს, მეგობრებსა და სრულად საქართველოს.

იგი იყო ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი. უფალმა მოიხსენიოს სულმნათი ვახტანგ ხარჩილავა ცათა სასუფეველში.

გია კვავილაძე,

ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

პოეზიით და პოეზიასი



მძიმე და ძნელად შესაგუებელია ვახტანგ ხარჩილავას სიკვდილი!

თითქოს კიდევ ერთი საიმედო წინააღმდეგობის ფარი წაიქცა და უფრო მეტად მოშიშვლდა ისედაც დაუცველი მამულის გული...

ბოლო, სულის ამოსათქმელი სტრიქონებითაც მშობელი ქვეყნისათვის თქვა ნაღვლიანი საგალობელი (დავით გურამიშვილის ხმაზე):

არ მსურს ბეჩაე გიხილო,
ძლიერი მინდა გნახო.
დიდება მოთმინებასა
შენსა, ქართველო ხალხო!

სულ ასე იდგა ვერგათენებული მამულის სადარაჯოზე, სულ მისი ძლიერება და გამარჯვება ჰქონდა საოცნებო, ყრმობიდან მოკიდებული უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. იგი მართლაც უცვლელი იყო ბუნებითაც, შეხედულებებითაც და პრინციპებითაც. იგი, როგორც შემოქმედი, დამდგარი პოეტური ხმით მოვიდა, ფაქტობრივ, სკოლის მერხიდან და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. იგი იყო ჭეშმარიტი კოლხი და, შესაბამისად, უბადლო, აღმატებული მამულიშვილი. ეს იყო მისი სულიერებაც და ყოფიერებაც, მისი ცხოვრებაც და სამსახურიც. იგი სისხლით და გენით იყო პოეტი და რასაც წერდა, მხოლოდ ნაღვსა და ხალასს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მისმა სიტყვამ უმაღლესი გაიკაფა გზა. განა შემთხვევითია, რომ ჩვენს, იმდროინდელი სტუდენტი-ახალგაზრდობის, პატრიოტულ დროშაზე, რომელიც ეროვნული პოეზიის ელვარებით იყო მოქსოვილი, განზიანებისთანავე აღიბეჭდა მისი სტრიქონებიც:

ჩემს ძვლებს, გაფვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს!

განუმეორებელი იყო მისი ცხოვრება პოეზიით და პოეზიაში. ვინ იცის, რამდენი ჩვენგანი და რამდენგზის დავუპურებდით მის მარილიან სტრიქონებსა და დეკლამაციის ნიჭს იმდროინდელ სადარბო სასადილოებში, რომელთა დახლიდრებიც კი აფასებდნენ ნამდვილ პოეზიას, მით უფრო - მეზობელი სუფრების გულიანი დოსტები...

ვახტანგ ხარჩილავა იყო ქართული მწერლობის ერთგული, თავდადებული მსახური და ეს კარგად გამოიჩინა ყველგან, სადაც კი მას უმოღვაწია, გამომცემლობა „მერანი“ იქნებოდა ეს, თუ ჟურნალები - „ცისკარი“ და „კრიტიკა“. პოეზიასთან ერთად, მისი განსაკუთრებული მართალი და ტკივილიანი წიგნია „სისხლიანი ქრონიკები“...

მაგრამ „საერთო გაზეთი“ მაინც მთლიანად მის პიროვნებას გაუიგვდა. მისი, როგორც მწერლის, გასვლა პუბლიცისტიკის ასპარეზზე, ფრონტზე წასვლას უდრიდა. და ეს მართლაც ასე იყო. დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურმა მოითხოვა ნიჭიერი და ერთგული ხალხის გაწვევა ბრძოლის წინა ხაზზე და ვახტანგი უყოყმანოდ დადგა იქ, სადაც მამულს დასჭირდა. პირადად მე არაერთგზის მითქვამს: რა დასანანია, რომ ვახტანგს თავისი ძვირფასი დროისა და ენერჯის ხარჯვა ყოველდღიურ ამბებზე უწევს-მეთქი! თანაც რა გულით, რა სულისკვეთებით იაზრებდა მიმდინარე მოვლენებს. მისი არსებითად ყოველკვირეული ანალიზი ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესებისა იყო ნათელი, სწორი ხედვის ბრწყინვალე ნიმუში. ესეც არაერთგზის მითქვამს: ნეტავი, თუ კითხულობენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მის განაზრებებს, რომ მიხვდნენ, სინამდვილეში რას ფიქრობს, რას განიცდის ქართველი ხალხი!..

ვახტანგ ხარჩილავა დიდად დააკლდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, როგორც ნამდვილი, უღალატო გულშემატკივარი, როგორც მოვლენების პირუთვნელი შემფასებელი, როგორც მართალი განმსჯელი ავისა და კარგისა...

ღმერთმა მართალთა შორის დაუმკვიდროს სასუფეველი!

აპთანდილ არაბული

დილის 5 საათია, იმ დღესაც ხუთზე გამეღვიძა, როცა ვახტანგის მიმართ მაღლიერების გამოხატვა მომინდა. დავასრულე რა წერა, ნახევარ საათში ვავიგე, რომ ვახტანგ ხარჩილავა გარდაიცვალა. და აი, საოცრება, დღესაც იგივე დროს ვიწვევ წერას, რომ აქ მაინც დავეშვიდობო ჩემს ძვირფას მეგობარს (დიდებულ პოეტს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს). ვწუხვარ, რომ ვერ ვაცილებ ბოლო გზაზე. ბოლო გზა კი მახათას პანთეონია...

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მწერლობისთვის, ქართული კულტურისთვის. ბევრ მამულიძილურ საქმეს აკეთებდა. დიდებულ პოეტს დღეს მახათას მთაზე, პანთეონში მისი საფიცარი სამშობლო დაკრძალავს უსამშობლო ღრუბლების ჩრდილში. (ეტირი). მე კი მოთბინებით დაველოდე შენთან ამოსვლის დღეს. მადლობა, მეგობარო, რომ იყავი ჩემს ცხოვრებაში. ვიცი, რომ შენი კეთილი საქმეები გინათებს გზას იმიერში, აქვე მინდა გაგაცნოთ გენიალური ექიმი პოეტის დიანა კასრამს (პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, დიდებული პოეტი, მხატვარი, მოკლედ უნივერსალი, ჩემი სიყვარული უსაყვარლესი მეგობარი, რომელსაც შეხვდებით რუბრიკაშიდა უფრო ახლოს გაგაცნობთ). ლექსი, რომელიც ვახტანგს მიუძღვნა 1990 წელს ქ. მოსკოვში.

გადის მარტი, მაისი, არ მნახულობ! მიწვრები, მე შორსა ვარ და ვიცი, შენ რომ არ გავიწყდები! მაგრამ ვხედავ, ვქრები და ვიფერფლები, ვმკრთალდები, ვეღარც მოგენატრები და ვეღარც გაგიხარდები! ვეღარც მოგაგონდები და თან წამყვება ზმანება შენი ცინცხალ ლექსები - სიყვარულის მწვემსები. ცრემლის ლურჯი ბროლები - შენი საგალობლები! შენი თბილი რიტმები ქორეები ოდები - შენის კოლხურ დაისებს ქრიან წლები მიგნების შორს მივდივარ და ისევ, ო, დიდი ხნით გშორდები! წინ მაქვს მხოლოდ ბინდები, წინ მაქვს მხოლოდ ჯანდები. ნუღარ ამიხირდები, ნუღარ გამიჯავრდები!

დინარა პასრამძე
1990 წელი. მოსკოვი.

ბრავო დინარა, მადლობა, რომ ხარ ჩემს ცხოვრებაში, აქ ერთად დავეშვიდობოთ, ჩვენს საყვარელ მეგობარს, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის შობლიური მიწა. ნათელშია მისი სული. დავეშვიდობებით. ვეღარ ვაგრძელებ ცრემლით სავსე თვალების გამო (5 საათზე გამაღვიძა ტკივილმა. ახლა 7 საათია, ვწერდი და ტკივილს ვერ ვგრძობდი. რა ძალა ჰქონია მაღლიერებას). მაღლიერები იყავით მუდამ,

ცხოვრებას შეგიმსუბუქებთ, მე თქვენ მიყვარხართ... შეხვედრამდე. ეს ფოტო ძალიან მეთბილება და მეორედ დავდე.

P. S. რადგან დილით ასეთი დამწუხრებული შეგ ხვდით, დავარღვევ რუბრიკა „მაღლიერების“ წესს და მეორედაც შეგ ხვდებით მოგვიანებით, პოზიტიური განწყობით. არა რა, ჩემი ფიქრები მის გარშემოა დღეს. კიდევ ერთი გუილისამაჩუყებელი ლექსი მინდა შემოგთავაზოთ.

მე როდესაც მოვკვდები (შვილს)

მე როდესაც მოკვდები, სული როცა ცად წავა, შენ ნუ დამიღონდები, ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ. ჩემმა წუთისოფელმა კიდევ დიდხანს მაცალა, ჩემი წილი მამდერა, ჩემი წილი მაწვალა. ახლა უნდა დამშვიდდეს ეს სული მაწანწალა. წინ მიდიან მამები, ბნელი გზა რომ გაკვალონ, შორს არ მივემგზავრები, ცაში ამოვფრინდები და იქიდან დავხედავ, მზის ნათელი სარკმელი. მოდებული კარები, მთელი ქვეყნიერება, კარგად მოჩანსქედან. მე როდესაც მოვკვდები, როცა სული ცად წავა, შენ ნუ დამიღონდები, შენ ნუ დამიღონდები, შენ ნუ დამიღონდები, ჩიტო, ჩიტო ნაცარა...

მანანა ბაბუნიძე

გამოთხოვა ბაბუარია...

„მას და მეგობარს“... ასეთი წარწერით მარჯუა პირველი ტომი 2019 წლის 15 სექტემბერს! მეორე ტომი... 2019 წლის 11 ოქტომბერს! 2020 წლის ნაპრილს წავუკითხე რამდენიმე ახლობელთან ერთად შინაურულად აღნიშნულ დაბადების დღეზე პოეტ ვახტანგ ხარჩილავას ჩემი ლექსი „შენ ლექსის წერა გარგუნა ბედმა“. თვალეები აუწყლიანდა. არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ორივე ხელი ჩამომართვა! საღამოს კი ჩვეულებრივ, ხაზგასმული კორექტულობით მთხოვა: „ბატონო ვლადიმერ, დიდად დამავალვებ, ამ ლექსს ბეისბუქზე თუ განათავსებ, მინდა, ისრაელში წაიკითხონ ჩვენმა მეგობრებმაო!“ ისრაელში უკვე წაიკითხეს „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული გამოსათხოვარი მიძღვნიები მეგობარი პოეტისადმი. წაიკითხავენ „საერთო გაზეთის“ ამ გამოსათხოვარ ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსაც! თბილი და მსუბუქი იყოს მახათას მიწა შენთვის, სამშობლოს მეციხოვნე!

ვლადიმერ ჭანტურიძე

შენ ლექსის წერა გარგუნა ბედმა

პოეტ ვახტანგ ხარჩილავას

შენ ლექსის წერა გარგუნა ბედმა, ბოლოხანს ხშირად დარდობ ამაზე: ვყოფილიყავი მოქანდაკე, ანდა მხატვარი, კვალს დავტოვებდი ამ ქვეყანაზე. ვის სჭირდებოა ჩემი ლექსები, ან სიყვარულის საგალობელი, როცა ატომი ზეცას აშავებს, გამოსავალის არ ჩანს მპოვნელი. არ გეთანხმები, შენი მკითხველი, ერს პოეზია დღესაც სჭირდება, რამდენჯერ იმედს ვპოულობ შენში, როდესაც სუნთქვა გამიჭირდება. ხალასი ლექსი, ვით მარგალიტი, თუნდა „ზამთრის ბაღი“, ანდა „კორიდა“, ან „ღამის თოვლი“, მოულოდნელად, როცა გვეძინა, მაშინ მოვიდა.

ვით შეგეცილო, საკუთარ სიზმარს ვიცი, შენ თვითონ გაუზიარებ, სამშობლოსაკენ სიზმარში ფრენას, რამდენ ემიგრანტს ურჩენ იარებს. საქართველოზე ზრუნვამ, ალბათ, უკვე დაგღალა, თან გაწეული ღვაწლის ფარდი არ ჩანს შედეგი! მამონას მონებს გაღვსილი უჭირავთ დანა, მოკლეს შარაძე, ვინ იქნება, ნეტავ, შემდეგი?! „ღალატიაო ფარ-ხმალის დაყრა“, — გახსოვს? მუხრანმა ამოთქვა კენტად. შენ საქართველოს უფარე ფარად — „თქვენ საქართველო გიცვნიათ დედად“. ეს ერთი ლექსი რამდენ სულში ანათებს სანთელს, რამდენ ებრაელს ძმად გაუხდის იქ ჩასულ ქართველს! ქართველს, რომელსაც ქვეყნის გარეთ ძმა არ ჰყოლია. ობლობის სევდა ძველთაგანვე გამოჰყოლია. „იქ ქართულ სულს რომ იმედსა და ნუგეშს შეაწევს, თქვენს „შემოგველეს“ შემოგველე, თქვენს „დაგენაცვლეს“. „დუღს საქართველო ისრაელში, ცოცხლობს და ბორგავს, თქვენს ქართულ ჰანგებს ვენაცვალე, თქვენს ქართულ როკავს!“

ჩვენ ერთი სისოსხლე გვაქვს

ერთხელ მოვდივართ ამქვეყნად, ერთ გზას გავივლით და იმიერში გადასახლებულნი ვტოვებთ მხოლოდ სახელს. უცნაურია, არა? ზოგის სიცოცხლე ერთ წინადადებაში ეტევა, ზოგისა - ბიოგრაფიაა მხოლოდ! და, მაინც იმ ერთ წინადადებაში დევს მთელი ცხოვრება, რაოდენ ხანგრძლივიც უნდა იყოს ის. კარგი ქართველი, კარგი ადამიანი - აი, ვახტანგ ხარჩილავას დახასიათება. სხვა დანარჩენი „დეტალებია“ - ნიჭი გამოხატული პოეზიაში, პუბლიკაციებში. კარგი ადამიანობა, მეგობრობა ოდითგანვე ფასდაუდებელი იყო ქართველი კაცის სულსა და გულში. დღეს გაცრეცილი თემაა, მაგრამ აქაიქ შემორჩენილი, ამ ხანის მატარებელი ხალხი, რომლებიც მხოლოდ კაცობის, სიბოხის, დიდი სიყვარულის, სულიერების მოგროვებით იყო სიცოცხლეში დაკავებული, უსასრულობისთვის არ გვემეტება. „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი - პოეტი, პუბლიცისტი, უამრავი კრებულისა და სტატიის ავტორი ვახტანგ ხარჩილავა სწორედ ასეთი ადამიანი გახლდათ. კაცი, რომელსაც მტერიც კი ეცოდებოდა. გაწონასწორებული, კეთილი, საოც-

რად ჭკვიანი, მიმტევებელი. წლების წინ, „ქართულ ოცნებასთან“ ბინძური ხერხებით „მებრძოლი“ პერსონა, „საერთო გაზეთს“ დაესხა თავს. ვალში ჩვენც არ დავრჩით და მომდევნო ნომერში მამხილებელი ფაქტების გამოქვეყნება დაგაანონსეთ. გაზეთის გამოქვეყნებამდე ბატონ ვახტანგს ნაცნობი ეწვია და აუწყა, თითქოს აღნიშნულ პერსონას ბოლო სტადიის კიბო ჰქონდა. შეწუხდა მთავარი რედაქტორი და თითქმის აწყობილი გაზეთიდან ოთხი გვერდი ამოიღო. თუმცა მის მიერ დანდობილმა მტერმა ორი წლის შემდეგ სხვა ბინძური ჟურნალისტის ხელით კიდევ ესროლა ტალახი. ნუ, მერე ჩვენც არ დავაკელოთ, მაგრამ კითხვაზე რატომ დაინდო ორი წლის წინ, მიპასუხა - ღმერთთან უნდა ვყოფილიყავი მართალი, მომაკვდავ კაცს წიხლს ხომ არ დავაჭერდიო („ის“ დღესაც ცოცხალია). პირნათელმა, ღმერთთან მართალმა, სამშობლოს გაბრწყინების, ერის დაღვინების ლოდინით დაღლილმა შეაბიჯა იმიერში და ლექსებში მიმობნეული სიბრძნე, მრავალი წინასწარმეტყველება დაგვიტოვა! უფალმა ნათელში გამყოფოს, ძვირფასო ადამიანო! „საერთო გაზეთის“ ტიანაშრომიძე

ჰანსბანკ ხარკიდან

ღმსობი



ბოლო დღე

ქანაობს მიწა და ირხევიან, შემკრთალ მინდორზე მდგარი მწვემსები. აყვავებული ტანი ხეივნის, ირხევა ნელა და იწეწება. ქანაობს მიწა და აჩხრიალებს რიყეს, კუბოს და ხავსიან კრამიტს, ბნელდება უცბად და მოშრიალე ცოცხლებს აშინებთ სიკვდილის ჩქამი, ქანაობს მიწა და არხევს მზისკენ გაფრენილ ქედებს, ცას და ვარსკვლავებს. ჩვენც გვახსენდება, რომ არცთუ ისე, მყარად ვდგავართ და შიშით ვკანკალებთ. კანკალებს მიწა და მაღალ ძეგლებს ერეკვით ტანი მძიმედ და მკვეთრად, მარადისობის სახელით შექმნილთ, იქნება დღესვე უმტყუნოთ ბედმა. დასაწყისია ეს დასასრულის, ახლის და ნორჩის, განუწყვეტელის, ჩვენც, კაცთა მოდგმა, უკვე ზრდასრულნი, მომავლის იქით აღმოვცნებებით, როცა მიაღწევს თავის სიმაღლეს ხე კედება, რადგან არ ძალუძს გაზრდა და თუ მივდივართ, ჩვენც ნუ ვინაღვლებთ, დასრულებულა სავალი გზათა. შენ სტირი, ცრემლი გიდგას თვალებში, რომ სიყვარული ვერ მოვასწართ, მაგრამ დრო გავა და სხვა მხარეში კვლავ აიგება ლურჯი ტაძარი. ცა განათდება სხვა მზით ნაქარგი და ისევ შეცვლის დილა ღამეებს, იმ სიყვარულით, ჩვენ რომ დავკარგეთ, ერთმანეთს სხვები შეიყვარებენ. ქანაობს მიწა, ცეკვავს და როკავს, ნაპირებიდან ღამე გადმოდის, დარჩეს პატარა ბიჭი და გოგო, დანარჩენები ყველა წამოდიოთ... ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ, რამეთუ ერთად ვიყავით დღემდე, ჩამკიდეთ ხელი, ჩვენ ერთად წავალთ, რომ თითო-თითოდ დავბრუნდეთ შემდეგ.

* * *
არ შეიძლება პოეტის სახლის ყიდვა, რაღა ის გიყიდი და რაღა მოჩვენებით და სიზმრებით გავესვებულნი ჯადოსნური სკივრი, რომელშიც ყველა თავის ცრემლსა და ტკივილს ყრიდა, თავიდან მოსაშორებელი ძველმანებივით, გადასაყრელად რომ არ გემეტება და ვილაცას გინდა, რომ არაუქო. არ შეიძლება პოეტის სახლის ყიდვა — ის უჩვეულო სიზმრების შესანახი საკანია, რომელიც შეიძლება საუკუნეების შემდეგ გაიხსნას, როგორც სარკოფაგი და იქიდან მუმიის ნაცვლად ცოცხალი არსება გადმოვიდეს, რომელიც თურმე მკვდარი კი არ იყო, არამედ სტრიქონებში ჩამალულს ეძინა...

* * *
მინავლული ბუტავს ჭრაქი,
ჩაქრა ალმასი და ფარჩა,
მარტო დარჩა პატრიარქი,
საქართველოც მარტო დარჩა.

ზოგი აქეთ, ზოგი — იქით,
ზოგს შვება და ზოგსაც ტანჯვა.
მარტო დარჩა პატრიარქი,
საქართველოც მარტო დარჩა.

ცხოვნდეს იგი, სამშობლოსთვის
ვინც ბოლომდე დაიხარჯა.
მარტო დარჩა პატრიარქი,
საქართველოც მარტო დარჩა.

ღმერთო, მარტო დარჩენილებს
არ მოაკლო შენი გარჯა.
მარტო დარჩა პატრიარქი,
საქართველოც მარტო დარჩა.

* * *
მკვდარი ვარ!
მაგრამ მიყვარხარ ძლიერ,
მკვდარი ვარ!
მაგრამ მიყვარხარ ძალზე,
ამ სიყვარულით მე სიკვდილს ვძლიე,
ამ სიყვარულით ავედი ცაზე.

როცა ამ დადლილ მიწას მოვწყდები,
როცა გვეწვევა ძალა ციური,
შეიყვარებენ ერთხელ ცოცხლები
და ეს ჰგონიათ მარადიული.

მაგრამ ერთია მართალი სიტყვა,
სიტყვა, რომელსაც ღმერთები წერენ,
მე მაშინ მიყვარს, როდესაც მიყვარს
სიკვდილს აქეთ და
სიკვდილის მერეც...



* * *
როცა გგონია, რომ ღვთის უფლებით
უკვე მიდიხარ და იღუპები.
როცა გგონია, უკვე გათავდა
მკაცრი სამსჯავრო მტყუნ-მართალთა.
დღე დასრულდაო, როცა გგონია,
რომ ჩაიფერფლა ეს აგონია.
უცებ ვილაცის მხერას დალანდავ
იქ, დასასრულის პირქუშ კარავთან.
უცებ ვილაცის სიტყვა ჩაგესმის
სავსე სინათლით, შუქით, ალერსით.
გაგიშემდება შუბლთან მარჯვენა,
ძირს დაეშვება უცებ სასხლეტი...
— თურმე ჯერ კიდევ ღირს აქ დარჩენა
და რა კარგია, რომ არ წახვედი...
* * *
წამით სიკვდილის ვნახე პროფილი,
წამით დავშორდი დღეებს ქარიანს.
სიკვდილი ისე ტკბილი ყოფილა,
რომ ეს სიცოცხლე მიმიქარია.

ცამ მიმიზიდა და მიმიახლა,
უცებ გაბრწყინდა მზე საოცნებო.
სიკვდილი ერთხელ რომ არ გინახავთ,
როგორღა ცოცხლობთ,
ქვეყნად, ცოცხლებო?

იმისთვის ყველა ღვიძლი შვილია,
სოცოცხლე მრავალს ტანჯავს გერივით.
მე აწ სიკვდილის არ მეშინია,
მაგრამ სიცოცხლით ვარ დაღვრემილი.

იყო მუსიკა... იყო სინათლე,
იყო სიმშვიდე გასაოცარი,
მე მივდიოდი... მე მივფრინავდი
და სიკვდილშიაც ვიყავ ცოცხალი.

...იმ ქვეყნის ვნახე უცხო პროფილი,
წამით წაველ და თვალს მივეფარე.
სიკვდილი მხოლოდ მიჯნა ყოფილა —
ორი სიცოცხლის შუა მდებარე...
* * *
სიკვდილი ყველას უბოვის საშველს,
უცებ მოუხსნის ყველა პრობლემას,
იმან იკითხოს, ვინც უნდა დარჩეს,
ვინც არ გაწირა ჯერაც სოფელმა.
სიკვდილი ყველას არგუნებს შვებას,
იქ, სამუდამო და ნეტარ ძილში,
სიკვდილთან ერთად სიკვდილიც ქრება
და მასთან კვდება სიკვდილის შიშიც.

დაუნდობლო, გაუცინარო,
კაცთა მოდგმაო, მიხვალ საითკენ.
სისხლით ეს გული რით ვერ იჯერე,
ბაღდაშში სანამ უნდა იწვალო.
შენ სიძულვილის გამო ისჯები,
უსიყვარულო დედამიწაო.
მაინც დავმარცხდით ბედისწერასთან,
თუმც თავის დახსნას ბევრჯერ ვეცადეთ.
ადის ზეცამდე ჩვენი წყევლა და
ვერ ადის ჩვენი ლოცვა ზეცამდე.

დონალდ ტრამპი აშერიკას დასპირის, უკრაინა კი ახალ სახელსაცვალად პოლიგონად გადაიქცა

სამწუხარო რეალობაა — მსოფლიოში ტერიტორიული და პოლიტიკური გადანაწილება ახალ, მძაფრ ფაზაში შევიდა, რომლის მსგავსი გაგანია ცივი ომის პერიოდში, 1945 წლის შემოდგომაზე არ ყოფილა. სამყაროში გამოჩნდნენ ქვეყნები, რომელთა ხელისუფლებები თავიანთი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ერთ დროს მსოფლიოში დომინანტი ქვეყნები კარგავენ პოზიციებს, მათ შორის, სუვერენინეტსაც — ევროპის ქვეყნებში მწვავედ დადგა ენერგეტიკული პრობლემა. თუმცა ერთი ქვეყნები აგრძელებენ რუსეთისგან გაზის შესყიდვას, მათ შორის, უნგრეთიც. ეს ფაქტი ევროკავშირისა და ევროპარლამენტის ჩინოსნებს აღიზიანებს. ამიტომ ქვეყანას ბრალდება წაუყენეს თითქოსდა იქ არსებულ კორუფციაზე. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი იძულებული გახდა, გამოეცხადებინა ანტიკორუფციული ორგანიზაციის შექმნა.



არეულობის ტალღა აგორდა ირანში. მიზეზი ზნეობრივი პოლიციის მიერ დაკავებული ქალის გარდაცვალება გახდა. ახლობლების მტკიცებით, იგი ცემით მოკლეს. ირანის ხელისუფლებამ კადრები გაავრცელა, სადაც კარგად ჩანს, რომ გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა. არეულობის რეალურ მიზეზად პოლიტოლოგები შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში ირანის გაწევრებას ასახელებენ. ვნახოთ, ხელისუფლების მოწინააღმდეგეები თუ შეპლდებენ ირანის დაჩოქებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წლეულს 77-ედ მასპინძლობდა ყოველწლიურ ტრადიციულ გენასამბლეას. მოგეხსენებათ, საერთაშორისო ორგანიზაცია 1945 წელს, ფაშისტური გერმანიის დამარცხების და მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩამოაყალიბეს გამარჯვებულმა ქვეყნებმა. მისი შექმნის მიზანი კეთილშობილური იყო — ორგანიზაციას უნდა მოეგვარებინა მსოფლიოში ქვეყნებს შორის უთანხმოებები, შეძლებისდაგვარად თავიდან აეცილებინა შეიარაღებული კონფლიქტები. უცნა-

ური განცხადება გააკეთა გაეროს მაღალი ტრიბუნლიდან ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ელიზაბეტ ტრასმა: „... ჩვენ უკრაინას გაუზრდით სამხედრო დახმარებას იმდენით და იქამდე, ვიდრე ბრძოლის ველზე ბოლომდე არ გაიმარჯვებს“. ომის დასრულების შეთავაზების ნაცვლად, პრემიერ-ქალი კონფლიქტის გაგრძელებისკენ მოუწოდებს და ახალისებს უკრაინელებს. თავად უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი გაეროს სხდომაზე კივიდან დისტანციურად ჩართეს, რომელიც, ტრადიციულად, ხაკისფერ მაისურში გამოწყობილი გახლდათ. სამაგიეროდ, გაეროში იმყოფებოდა მისი მეუღლე, მაგრამ რა სტატუსით იყო მიწვეული გენასამბლეაზე, უცნობია.

მხოლოდ ბრიტანეთი როდი უჭერს მხარს რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელებას, გაეროს გენასამბლეის დაწყებამდე ევროპარლამენტში ურსულა ფონ დერ ლაინ-

ლაა საჭირო, ამაზე კონკრეტულად არაფერს ამბობენ. სამაგიეროდ, ცალკეული პოლიტიკოსები ვითარების სათავესოდ გამოყენებას ცდილობენ. პრეზიდენტმა ზელენსკიმ რუსეთისთვის უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობის გაუქმება მოითხოვა. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი ჩინოვნიკები დუმილით ეთანხმებიან ზელენსკის იდეას, მაგრამ როგორ შეიძლება გაეროს დამფუძნებელი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ქვეყნის, რუსეთის უშიშროების საბჭოდან გაყვანა, საყოველთაოდ გაუგებარი დარჩა.

პოლიტიკოსები გააოცა გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის გამოსვლამ გაეროში. მართალია, მან ზოგადად ისაუბრა სხვადასხვა თემებზე, განაცხადა, რომ გერმანია შეძლებს რუსეთის ენერგოსისტემისგან გათავისუფლებას. როდის და როგორ, არ უთქვამს. სამაგიეროდ, მან მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოში გერმანიის მუდმივი წევრობა! შოლცს დელიკატურად მიანიშნებს, რომ გაერო სწორედ ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ შეიქმნა გამარჯვებული ხუთი ქვეყნის ინიციატივით.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ბევრი შეხვედრა გამართა სხვადასხვა ქვეყნების მეთაურებთან. გენასამბლეაში გამოსვლისას მან ისაუბრა, როგორ იცავენ მის ქვეყანაში დემოკრატიულ პრინციპებს, აშშ-ის ეკონომიკურ წარმატებებზე... პოლიტოლოგების შეფასებით, ბაიდენი შეეცადა ქულების ჩაწერას შუალედური არჩევნების წინ. როგორ შეძლო ეს, მოგვიანებით გამოჩნდება. ბაიდენის წინამორბედმა და მთავარმა მოწინააღმდეგემ დონალდ ტრამპმა განაცხადა: „...აშშ ჯოჯოხეთისკენ მიექანება! ქვეყანაში არ გვყავს ახალგაზრდა ნიჭიერი პოლიტიკოსები!“ ერთიც გასახსენებელია — ჯო ბაიდენის სიტყვას, რომელსაც ორი კვირის წინ წარმოსთქვამდა, ტელევიზიები ეთერში გადასცემდნენ. როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე დაიწყო საუბარი, ტელეკომპანია „ფოქსნიუსმა“ გაუთიშა პირდაპირი ეთერი პრეზიდენტს. ეთერის წამყვანმა ტაკერ კარლსენმა, „იტყუებო“, განაცხადა.

ეკონომიკური ვითარება აშშ-ში არასახარბიელოა, რასაც ფი-



ნანსთა სამინისტროც აღიარებს. მზარდ ინფლაციაზე საუბარი ბაიდენს არ სურს. სამაგიეროდ, იზრდება ეკონომიკური მდრომარებით უკმაყოფილო მოსახლეობის რაოდენობა.

ბირთვული ომის გაზრდილ საფრთხეზე სულ უფრო ხშირად საუბრობენ მსოფლიოს პოლიტიკოსები. გაეროში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ი-მ მოუწოდა უკრაინას, შეწყვიტოს ბრძოლები და დაიწყოს მოლაპარაკება, რათა შეიარაღებული კონფლიქტი ფართომასშტაბიან ბირთვულ ომში არ გადაიზარდოს. მისივე განცხადებით, აშშ-ჩინეთის შეიარაღებული კონფლიქტი მსოფლიოსთვის კატასტროფული შედეგით დასრულდება. მინისტრს მხედველობაში ტაივანთან დაკავშირებული კონფლიქტი ჰქონდა. დიდძალი შეიარაღების მიწოდების გარდა, ჯო ბაიდენი უკვე მეოთხედ დაემუქრა ჩინელებს, რომ კონფლიქტის შემთხვევაში აშშ-ის ჯარები უშუალოდ ჩაერთვებიან ტაივანის მხარეს. სამხედრო ექსპერტები გაუმათლებლად მიიჩნევენ აშშ-ის მიერ საომარი მოქმედებების დაწყებას ტაივანში ჩინეთის წინააღმდეგ, რადგან, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩინეთს აშკარა უპირატესობა გააჩნია. ამას პენტაგონშიც აღიარებენ. ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდება აშშ-ჩინეთის დავა ტაივანისთვის. თუმცა სიტყვით აშშ ერთიან ჩინეთს აღიარებს, მაგრამ კუნძულის დამოუკიდებლობას ითხოვს.

სათუო იყო გაეროს გენასამბლეაზე რუსეთის დელეგაციის მონაწილეობა, რადგან ქვეყანაში შესასვლელი ვიზების გაცემა აშშ-მ გააჭიანურა. დელეგაციას საგა-

რუო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ხელმძღვანელობდა. გაეროში გამოსვლისას ლავროვმა აშშ და ნატო დაადანაშაულა უკრაინის კონფლიქტში მონაწილეობის გამო. ბრიფინგზე მან უკრაინისთვის განუცხადა: „... ცივი ომში გამარჯვებულ მხარედ გამოცხადების შემდეგ აშშ-ში ჩათვალეს, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ“. მისივე თქმით, „უკრაინა აშშ-ისა და ნატოს ქვეყნებისთვის მხოლოდ ინსტრუმენტი რუსეთთან საბრძოლველად“.

ვითარება უკრაინაში ბუნდოვანია, ვრცელდება რადიკალურად განსხვავებული ინფორმაციები. ზელენსკი კვლავ წინააღმდეგია, დაიწყოს მოლაპარაკება, რუსეთის ჯარს მოუწოდებს დასრულებისკენ და მოკავშირე ქვეყნებისგან, ტრადიციულად, იარაღს ითხოვს. რუსეთში რეზერვისტების ნაწილობრივი, შერჩევითი მობილიზაცია გამოცხადდა. ოთხ რეგიონში: დონბასში, ლუგანსკში, ხერსონში და ზაპოროჟიეში რუსეთთან შეერთების მოთხოვნით რეფერენდუმები გაიმართა. მართალია, მსოფლიოს ქვეყნების ნაწილი არ აღიარებს შედეგებს, მაგრამ, ფაქტობრივად, უკრაინამ ტერიტორიები დაკარგა. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, უკრაინის ტერიტორია ახალი იარაღის საცდელ პოლიგონად გადაიქცა.

იტალიაში გამართულ ვადამდე არჩევნებში მემარჯვენე ცენტრისტებმა გაიმარჯვეს. ქვეყნის ისტორიაში პირველად, იტალიას ქალი-პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი ეყოლება. იგი ერთს-ქესიანთა ქორწინებისა და ლგბტოების მოწინააღმდეგეა და არაღვრიანი დევნილებისთვის სახდურების ჩაკეტვას აპირებს. არჩევნების შედეგით, იტალიელმა ხალხმა, ფაქტობრივად, სილა გააწნა ურსულა ფონ დერ ლაინს და მასთან ერთად — ევროკავშირს.

ორშაბათს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ენტონი ბლინკენმა და ჯო ბაიდენის თანაშემწემ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადეს, რომ გამორიცხული არ არის, აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ბირთვული ომი დაიწყოს.

გია აპრულუი
551 71 27 07

საქართველოს და ბოლშევიზმის თანარსებობა როგორ მოხერხდა, ცნობილია... „Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года и Абхазия“ - ამ საკმარის მნიშვნელოვან დოკუმენტს 1920 წლის 7 მაისს ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო და მთავრობის წევრებმა გრიგოლ ურატაძემ და მხეცი ბოლშევიკების სახელმწიფო საკმარის სახალხო კომისარმა ლევ კარახანმა. ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ძირითადი ნაწილისგან (სულ 16 მუხლი). პრეამბულაში ნათქვამია, რომ შეთანხმების ზოგადი მიზანია ორივე მხარეს შორის მტკიცე და მშვიდობიანი თანარსებობის დამყარება. ასევე მითითებულია ხელის მოწერი მხარეების უფლებამოსილი პირები. ძირითადი ნაწილის პირველი მუხლის თანახმად, რუსეთი უნდა ახდინოს აღიარება საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა ყოველგვარ უფლებებზე ქართველი ხალხის და მისი მიწის მიმართ. მეორე მუხლის თანახმად, რუსეთი კისრულობდა ვალდებულებას, არ ჩარეულიყო საქართველოს შინაგან საქმეებში. მესამე მუხლში მოცემულია რუსეთის და საქართველოს ტერიტორიებ-

საქართველოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო ამ წარმონაქმნებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მეხუთე მუხლის თანახმად, საქართველო დედა პირობას, რომ თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფების საქმიანობას, განაიარაღებდა მის პორტებში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი გემების ეკიპაჟებს და დაპატიმრებდა მათ, თვითონ გემებს კი გადასცემდა რუსეთს (იგულისხმებოდა რუსეთის მოხალისეთა არმიის შავი ზღვის ფლოტის ის გემები, რომლებიც სამოქალაქო ომში დენიკინის დამარცხების შემდეგ თავს აფარებდნენ საქართველოს პორტებს). ამას გარდა, საქართველოს თავისი ტერიტორიიდან უნდა გაეძევებინა რუსეთისადმი ან მისი მოკავშირე სახელმწიფოსადმი მტრულად გან-



ბოლშევიზმი და საქართველო



ის გამყოფი ხაზი - სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუსზე მთა ახახანამდე. ამ მთა ახახანას და აგანეთას მთის გადავლით ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალას ოკრუგამდე და ამ ოკრუგის აღმოსავლეთი საზღვრით სომხეთთან საზღვრამდე. ამავე დროს, ყველა უღელტეხილ ამ სასაზღვრო ხაზზე 1922 წლამდე რჩებოდა ნეიტრალური (მათი დაკავება არ შეეძლო არც ერთი მხარის ჯარს). ნეიტრალურები იყვნენ მამისინის უღელტეხილი ზარამაგიდან (რუსეთი) ონამდე (საქართველო), დარი-ალის ხეობა-ბაღთაღან კობამდე, და ყველა დანარჩენი 5-5 ვერსტი საზღვრის გადის პუნქტის ორივე მხარეს. საზღვარი ზუსტად უნდა გაეტარებინა და რუკაზე დაეტანა ორმხრივ კომისიას. მე-6 მუხლით რუსეთი საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა ყოფილი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების ყველა ნაწილს - ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებს. ამასთან, ადრე კავკასიის სამეფინაცვლოში შემავალი იმ ტერიტორიებს, რომლებიც

წყობილი უცხოური სამხედრო ქვედანაყოფები. მე-6 მუხლის თანახმად, რუსეთს არ უნდა დაეშვა მის ტერიტორიაზე საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ან საქართველოს ტერიტორიის რაღაც ნაწილზე პრეტენზიის მქონე ორგანიზაციის არსებობა... მეათე მუხლის თანახმად საქართველოს სასჯელისგან უნდა გაენთავისუფლებინა რუსეთის კომპარტიის სასარგებლოდ მომუშავე პირები. საქართველო-რუსეთის შეთანხმებას თან ახლდა ორი თავისგან შემდგარი „განსაკუთრებით საიდუმლო დამატება“, რომლის თანახმადაც, საქართველოს არ უნდა შეეშალა ხელი მის ტერიტორიაზე მოქმედი კომუნისტური ორგანიზაციისთვის. საქართველოს კომუნისტებისთვის უნდა მიეცა კრებების ჩატარების და ბეჭდვითი გამოცემების გამოცემის თავისუფლება. საქართველოს არ უნდა გაეტარებინა რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ, და ასე შემდეგ. ამ დამატებას ჰქონდა იძულებითი ხასიათი. საქართველოს მთავრობას უწინააღმდეგოდა, რომ ამ დამატების გამოქვეყნება გამოიწვევდა ანტიკომუნისტურად განწყობილი ოპოზიციური პარტიების ძლიერ უმკაფიოფლე-

ბას და ამიტომ გაასაიდუმლოვა ის. 7 მაისის შეთანხმების მიღების პროცესის კიდევ ერთი „უხერხული მომენტია“ ეხებოდა ზაქათალის ოკრუგს. დოკუმენტის ხელმოწერის პერიოდი დაემთხვა ბოლშევიკების თავდასხმის შედეგად აზერბაიჯანში პრორუსული კომუნისტური მთავრობის დამყარებას და ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) უკვე დაკავებული იყო წითელი არმიის ნაწილების მიერ. საქართველოს ხელისუფლება კი თვლიდა ზაქათალას საქართველოს ტერიტორიად, მაგრამ 1918 წლიდან მან დაკარგა კონტროლი მასზე და ამის მიზეზი ის იყო, რომ ვერ მოხერხდა მოლაპარაკება აზერბაიჯანის მუსულმანურ მთავრობასთან. როგორც კი ბაქოში გაიგეს საქართველო-რუსეთის შეთანხმების ხელმოწერის შესახებ რუსეთის კომპარტიის კავკასიური ბიუროს ზოგი წევრის მიერ წაქეზებულმა აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა პროტესტი გამოთქვეს ზაქათალის ოლქის საქართველოსთვის მიკუთვნების გამო. ამიტომ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის წარმომადგენელთა მოთხოვნით, საქართველოს დელეგაცია იძულებული გახდა,

რესპუბლიკის აღიარებამ დადებითი შედეგები მოუტანა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე. 1921 წლის 24 იანვარს საქართველო იურიდიულად ცნეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. საქართველოს დიპლომატიის უახლეს ისტორიაში ეს დოკუმენტი, შეიძლება ითქვას, არის პირველი ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად დაფიქსირებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უცხო სახელმწიფოს მიერ და, ამავე დროს, მკაფიოდაა დაფიქსირებული მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ 7 მაისის შეთანხმება უვადო დოკუმენტი, ვინაიდან დოკუმენტში არაა მითითებული მისი მოქმედების ვადა, ის არაა დენონსირებული და გაუქმებული რომელიმე საკანონმდებლო აქტით არც საქართველოს და არც რუსეთის მიერ. შეთანხმება დღესაც ძალაშია, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და მისი საზღვრების აღიარების საკითხში... მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეთანხმება მოქმედებდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში და შემდეგ საბჭოთა კავშირში შესვლამდე, ქართველმა ბოლშევიკებმა საბჭო და სასაზღვრო-გამშვები პუნქტები დააყენეს 7 მაისის დოკუმენტის შესაბამისად. ძირითადად, იგივე საზღვრები დარჩა 1922 წლის შემდეგაც, მას შემდეგ, რაც საქართველო აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ოღონდ ამ საზღვრებს ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების სტატუსი. გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლისას საქართველოს სახელმწიფო საზღვრად რუსეთის მიმართ დარჩა სწორედ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საზღვრები. სწორედ ამ საზღვრებში ცნო რუსეთის ფედერაციამ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1992 წლის პირველი ივლისს.

მარიამ ჯანჯღაძე
511 17 73 72

საზოგადო მოღვაწის, დიდადულ კოეხს, ვახტანგ ხარჩილავას



ქართველი ერის საამაყო, თბილო მეოსანო, ჩვენ უთქვენობა, გჯეროდეთ, რომ გაგვიტყვირდება. ხმალაღესილი, შეუპოვარი, მართალი სიტყვით გულს გვითბობთ, გვხიბლავთ და იცოდეთ, მოგვენატრება. „გაგვეტყვირება ჩვენ აქედან ჩვენი შვილები“, — თქვენ ამ სიტყვებით და ტკივილით მათ ეფერებით, აქ შინაური, უკეთური მტრების დალატით, თქვენი სისოცხლე თვით დატოვებულ გულდამძიმებით. დროა, ერთ მუშტად რომ შევიკრათ ერის შვილები, და ყოველივეს რომ დავარქვათ თავის სახელი. აქ უპატრონოდ არ დარჩება ჩვენი ტაძარი, და არასოდეს მიეფრება კერას ნაცარი. აზვირთდებიან ტყეები და მდინარეები, აღარ იქროლებს გამყინავი, მკაცრი ქარები, გაიფურჩქნება ჩვენი ზვრები, მთები, ყანები, უცხო ქვეყნიდან დაბრუნდებიან ჩვენი ქალები... ბატონო ვახტანგ, იბინეთ და ნუ დაღონდებით, არ დაგივიწყებთ, სიკვდილამდე გვემასხოვრებით, ნათელი ხსოვნა თქვენ სულს მარად მოეფინება, ამაყ ქართველ ერს თქვენზე ლოცვა არ მოსწყინდება!

დიდი ტკივილით, „საერთო გაზეთის“
ერთგული მკითხველი
ჰამთხვან კოხიაშვილი

მადლობა ყველას

მადლობა ყველას, ვინც ჩვენი ოჯახის მშენებარება ბანიხიარა

მადლობა - ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს;

მადლობა - საქველმოქმედი ფონდ „ქართუს“;

მადლობა - საქართველოს მწერალთა კავშირს;

მადლობა - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს, კლინიკა „გიდმედს“. პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის და აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის მედპერსონალს განსაკუთრებულად გულისხმიერი და ფაქიზი დამოკიდებულებისათვის.

მადლობა „საერთო გაზეთის“ გულშემატკივრებს და ერთგულ მკითხველს გამხნეებისთვის და თანადგომისთვის.

ვახტანგ ხარჩილავას ოჯახის
ყველანი უმზარხართ და ეიმიღებით

გარდასვალბის წინ ნარმოთქმული სიტყვები

სიკვდილის მიმართ ადამიანებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება აქვთ მწერლებს, თავიანთი შეხედულებები გააჩნიათ ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებსაც, რომლებიც, შესაძლოა, სულაც არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს...

მრნმსტ ჰამინგუეი, ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი (1899-1961).

პულიცერის პრემიის ლაურეატი მოთხრობისათვის „მოხუცი და ზღვა“ და ნობელის 1954 წლის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. ის ძალზე ახალგაზრდა წავიდა პირველ მსოფლიო ომში, იყო მანქანის მძღოლი იტალიაში. მისმა მამამ თავი მოიკლა, როცა ერნესტი 29 წლის იყო.

ჰემინგუეის ბოლო სიტყვები, რომლებიც მან ცოლს მიმართა, იყო: „ღამე მშვიდობისა, ფისუნია“. რომანი „მშვიდობით, იარაღი“, 1929 წ.

ლეიტენანტი ფრედერიკი და მედლა კეტრინი პირველი მსოფლიო ომის დროს შეხვდნენ და ერთმანეთი შეუყვარდნენ. კეტრინი ორსულადაა. ფრედერიკი ომიდან იპარება და ქალ-ვაჟი მშვიდობიან შევიცარიაში მიემგზავრება. კეტრინი რთული მშობიარობის გამო იღუპება.

მისი ბოლო სიტყვებია: „ნუ დაღონდები, საყვარელო, მე სულ არ მემინია. ეს მხოლოდ უმწი ზუმრობაა“.


არტურ კონან დოილი, ბრიტანელი მწერალი და ექიმი (1859-1930).

დეტექტიური ჟანრის კლასიკური პერსონაჟების შემქმნელი. უკანასკნელი სიტყვები ცოლისადმი: „შენ მშვენიერი ხარ!“.

მეუღლის სურვილით მწერლის საფლავის ქვაზე წერია: „სანდო, როგორც ფოლადი, პირდაპირი, როგორც მახვილი“.

შერლოკ ჰოლმსის სიკვდილისწინა სიტყვები მოთხრობიდან „ჰოლმსის უკანასკნელი საქმე“:

„ჩემო ძვირფასო უოტსონ! ამ სტრიქონებს მისტერ მორიარ-



ბის კეთილი ნების წყალობით გწერ, რომელიც მელოდება, რათა საბოლოოდ გადავწყვიტოთ ის საკითხები, ორივე ჩვენგანს რომ ეხება... მე მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ შემოდგომა საზოგადოება იმ მომავალი უზერხულობისგან ვიხსნა, რომლებიც მის (მორიარტის) არსებობას უკავშირდება, მაგრამ მემინია, რომ ამის მიღწევა მხოლოდ იმის საფასურად შეიძლება, რაც ჩემს მეგობრებს, განსაკუთრებით კი თქვენ, ძვირფასო უოტსონ, ძლიერ დაამწუხრებს... გთხოვთ, ჩემი გულთაიდი სალაში გადასცეთ მისი უოტსონს“.

რიჩარდ ფინინგანი, ამერიკელი ფიზიკოსი და მწერალი (1918-1988).

ატომური ბომბის ერთ-ერთი შემქმნელი, ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. კვანტური მექანიკის გენიოსი. უყვარდა დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრა. ბირთვული იარაღის შექმნისას უსაფრთხოების სისტემების არასრულყოფილების დემონსტრირების მიზნით უყვარდა სეიფე-




ბის გატყევა. მისი ერთ-ერთი ცნობილი ფრაზაა: „თუ თქვენ კვანტური ფიზიკის დარგის მეცნიერი ხართ და ვერ შეძელით ორი სიტყვით აუხსნათ ხუთი წლის ბავშვს, რითი ხართ დაკავებული, თქვენ თაღლითი ხართ“.

სიკვდილის წინ ფინინგანმა განაცხადა: „მე ორჯერ სიკვდილს არ ვისურვებდი. ეს ძალიან მოსაწყენია“.

სკოტ ფიცჯერალდი, ამერიკელი მწერალი (1896-1940).

„ჯაზის ეპოქის“ მწერალი, როგორც თვითონ უწოდებდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებს ამერიკაში, რომელიც ცნობილი იყო ეკონომიკური წინსვლითა და კეთილდღეობით. ჯერ მოხალისედ წავიდა ჯარში, შემდეგ კი სარეკლამო აგენტად მუშაობდა. კარიერის დასაწყისში მწერლის ნაწარმოებებს არ აქვეყნებდნენ. უნდოდა პოპულარული მწერალი გამხდარიყო, რათა შეეყვარებულე გოგონას მშობლებს მასთან დაქორწინების ნება მიეცათ.



სკოტ ფიცჯერალდმა სიკვდილის წინ კითხვაზე, რას ისურვებდა, უპასუხა: „მოკლადი საკმარისია. საჭირო აღარ არის!“.

თომას პარლანდი, შოტლანდიელი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი (1795-1881).

სწამდა იდეის, რომ გამოჩენილ ადამიანებს შეუძლიათ კაცობრიობის ისტორიის შეცვლა. გლეხის ოჯახში დაიბადა. იყო მატემატიკის მასწავლებელი. არსებული პოლიტიკური პარტიების მიმართ არაკეთილგანწყობილი იყო და თავს მართოსულად გრძობდა.

თომას კარლაილის უკანასკნელი სიტყვებია: „აი, სიკვდილიც! შესანიშნავია!“

თრუმენ კაპოტი, ამერიკელი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი (1924-1984).

11 წლის ასაკში სცადა პირველი მოთხრობის დაწერა და თავს მაშინვე მწერლად მიიჩნევდა. პირველმა დაიწყო წერა „რომან-რეპორტაჟის“ ჟანრში. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ოცზე მეტი ფილმი, მათ შორის, „ციცვისხლიანი მკვლელობა“ და „საუზმე ტიფანისთან“. მისი სიკვდილისწინა სიტყვებია: „ეს მე ვარ, მეგობარო... გავიყინე“.

შან კოპტომ, ფრანგი მწერალი, დიზაინერი, სცენარისტი, დრამატურგი (1889-1963).

კანის კინოფესტივალის საპატიო პრეზიდენტი. ჟანი 9 წლის იყო, როცა მამამისმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მთელი ცხოვრების მანძილზე მამის სიკვდილს ყველაზე დიდ დანაკარგად მიიჩნევდა. სამყაროს პირქუში აღქმა მის ბევრ ნაწარმოებში გამოსჭვავის. კოკტოს ყველაზე ცნობილი პოესაა „მითი ორფეოსის შესახებ“.

ჟან კოკტომ სიკვდილის წინ თქვა: „ჩემი დაბადებიდან ჩემმა სიკვდილმა სვლა დაიწყო. ის ჩემკენ აუჩქარებლად მოიწევს“.

ბელა გველმსიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭარი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო სენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვახტანგ ხარჩილავა**

სარედაქციო კოლმეცია: თამარ ბერძენიშვილი-ხარჩილავა (მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი); გელა ზედელაშვილი, თამარ შევლიძე, მარიამ ჯანჯღავა, ვია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველმსიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაენის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 555 33-44-14.

E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს

„ელგა-ჯი“-ს მშვენიერებით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრინციპის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ დაინახებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორისა. გაზეთის მხარდასაჭარი მასალის გამოქვეყნების შემთხვევაში ავტორის პასუხისმგებელი არ არსდება.

© ამ ნომერი აღწერილია სარედაქციო მასალაში.

ინჰელმეზა შპს „სასაგალ-დასაგალის“ სტამბაში. აგლამის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1



2 008311 231562